# დედა და შვილი

და

# რამდენიმე ლექსი

თ: ილია ჭავჭავაძისა.

გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან.

თბილისი
მ. როტინიანცის და კომპ. სტამბა.
1882

# დედა და შვილი.

(ეპიზოდი დავით აღმაშენებლის დროთაგან, როცა არაბთაგან ანთავისუფლებდა საქართველოს.)

„გაგვიძეღ, ბერო მინდიავ, მუხლი მაიბი მგლისაო,
გაიყოლიე უმცროსნი, ვისაც თავი აქვს ცდისაო."

გლეხური სიმღერა.

(სცენათ არის ოთახი, რომლის ფანჯრებიც ქუჩას გადაჰყურებენ. ერთ მხრივ ტახტზედ ლოგინში წევს სნეული, ძალიან მისუსტებული და მოხუცებული დედა.)

### დედა.

თუმცა სიცოცხლე სნეულთათვის წვალება არი,
მაგრამ, ჰე ღმერთო, გმადლობ, ამ დღეს რომ შემასწარი, —
და აქამომდე არ მოჰკვეთე ჩემი ცხოვრება:
ჩემი მამული, საქართველო, დღეს მიცოცხლდება,
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღზდგა, ხალხი მოქმედობს!...
ერთის ზღვიდამა მეორემდე ერთს ფიქრსა ჰფიქრობს
და ეგ ფიქრია ჩვენის ქვეყნის თავისუფლება!...
დიდია ხალხი როს ეს გრძნობა წინ წარუძღვება.
ერთი შვილი მყავს საყვარელი და სანატრელი,
იგია მარტო თავის დედის ნუგეშ-მცემელი,
იგია ჩემი თვით სიცოცხლე და სახარული,

იმითი მიდგა უძლურს ტანში უძლური სული,
ჩემის სიბერის მასაყრდომად ისღა მშთენია,
მაგრამ, მამულო, წაიყვანე, დღეს ის შენია...

(შეწუხებული ჩაფიქრდება და მცირე ხანს შემდეგ იტყვის)

ის დღეა დღეს რომ მამულს ვუძღვნა ძის სიყვარული,
ან ძეს შევწირო საყვარელი დიდი მამული...
ამ ორის გრძნობის ბრძოლას გულმა ვით გადიხადოს?
ძის სიყვარული, თუ მამულის—რომელი დასთმოს?...
ეჰა, ამ დღისთვის გაგაზარდე, მამულო, შვილი,
სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი...
დედის-ერთა მყავს, მაგრამ შენთვის მე მას ვშორდები!
ვინ იცის, შვილო, რომელს ველზედ მტრისგან მოჰკვდები?
დამტირებელი დედა ასლოს არ გეყოლება,
მის ცხარე ცრემლი სისხლიანს მკერდს არ გეპკურება;
დედისა ხელით ვერ შეიხვევ განგმირულს გულსა,
და ეგრედ შენს თავს მტლად დაუდებ შენსა მამულსა!...
შენს სიკვდილშია ჩემი ვაიც და ნეტარებაც,
მისთვის რომ მე ვარ დედა-შენიც და ქართვლის დედაც:
ვით დედა-შენი იმ სიკვდილით შენით ვივაებ,
ვით ქართვლის დედა ვინეტარებ და ვისახელებ.

(ჩაფიქრდება და მცირე ხანს შემდეგ)

თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთ-საყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ-ბუნებისა.
მტარვალთა თქმითა ოდითვე ხარ შენ აკრძალული,
ხე ცნობადისა, ედემს რგული, შენი ხე იყო;

მაგრამ სამოთხეც უკვდავისყოფით აღსავსე, სრული
პირველ კაცთათვის უშენოთ არა რა იყო.
რა განიცადეს იმათ შენთა მადლთა უხვება,
მსწრაფლ აღგიარეს, ჵოი ღმერთავ, თაყვანებითა,
მსწრაფლ მოგიპოვეს: ფასად მიჰსცეს თვის უკვდავება,
და სამოთხეც ჰსთმეს სრულის მისის ნეტარებითა.
ეგრედ ნაშოვნი რად წაგვერთვი მოსავთა შენთა?
რაღად ღვრის დღესაც შენთვის სისხლსა ადამიანი?
რად შეიღებე კაცის სისხლით საშიშრად ჩვენდა,
და რისთვის დახვალ ამა ქვეყნად პირ-სისხლიანი?
თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვეყნად მომფენი,
მაგრამ სისხლით კი იკვლევს გზასა მძებნელი შენი!
რად არ შეჰნდება უსისხლოთა მისი ტაძარი,
მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არის?...

შ ვ ი ლ ი. (შემოდის გახარებული)

მოვიდა ჩვენი სანატრელი, დედავ, ამბავი:
ჩვენი ქვეყანა, საქართველო, გაღვიძებულა,
მთელი კავკასი, მტერზედ რისხვით აღმომქშინავი,
ერთისა აზრით, ერთის გრძნობით აღელვებულა.
მომილოცნია!... გაგვითენდა ძლივს ბნელი ღამე!..
მაგრამ შენ სწუხარ, თითქო ამ თქმით მე ვერ გაამე.

დ ე დ ა.

მე ვწუხვარ მარტო მაზედ რომე ჩემს სიბერესა
სანუგეშებლად მხოლოდ ერთი მოეცა შვილი,
მე ვწუხვარ მაზედ, რომ ჩემს მამულს ამ ნეტარს დღესა

მხოლოდ-და ერთი შეაკვდება ჩემგან შობილი.
ვაი რომ ჩემის სიცოცხლისა მზე მაშინ ჩადის,
როცა ამოდის ჩემის ქვეყნის მზე დიადი!...
ვაი რომ ბინდი დღეთა ჩემთა სიკვდილს მიქადის
როს ჩემის ხალხის დიდების სჩანს განთიადი!
ამაზედ ვწუხვარ .. მაგრამ ამას რაღა ეშველოს?
ღმერთს მარტო ერთს ვსთხოვ: მკვდარი დედა ძემ ასახელოს.

შვილი.

როგორ? მეც მგზავნი საომრათა, დედის ერთასა,
რომ თავი დავსდო მამულისა ჩვენის სახსნელად?

დედა.

სულზედა დიდი ცოდვა უნდა ედვას დედასა,
რომ შვილი ამ დროს არ გაჰგზავნოს ძმათა საშველად...
ღმერთმა გვაშოროს, შვილო ჩემო, იმა სირცხვილსა,
რომ შენ შინ იჯდე, ოდეს სხვანი იხოცებიან.
ვინც მამულისთვის არ იმეტებს თავისა შვილსა
მას შვილი თვისი, ჩემო კარგო, არ ჰყვარებიან...
ვაჟ-კაცად იყავ: ჩემი თხოვნა არის მხოლოდ ეს.

შვილი.

არას-დროს არა მყვარებიხარ ისე, როგორც დღეს,
შენ, დედა-ჩემო!... რასაც მნუკავ აღგისრულდება...
შენგან შობილი შვილი განა მხდალად მოკვდება!
(ისმის გარედგან ჯარების ხმაურობა, შვილი ფანჯარას მივარდება)

დ ე დ ა. (თავის-თავად)

არ იცი, შვილო, როგორ მილირს მე ეს სიტყვები
და ვერც შეიტყობ მაგას ჩემგან ისე მოვკვდები...
იმ დრომდე სულსა დანაშთენსა ლონეს მოვუკრებ,
ვიდრე სამრად, შვილო ჩემო, შენ გაგისტუმრებ,
რომე სიკვდილმა ჩემმა უცებ არ დაგაბრკოლოს,—
და მერე კი ვგრძნობ: ბედი ჩემი მომიღებს ბოლოს.

(ისმის ჯარების სიმღერა).

ორპირი.

„ქართველო ხელი ხმალს იკარ, დღე გათენდა დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი, დრო მოდის გამარჯვებისა.
მამულის დახსნის დღე არის, ქვეყანა გვნუკავს შველასა,
თავის-უფლების შოვნაი სჯობს საშოვნელსა ყველასა.
მამულის დამხსნელს ვაჟ-კაცის ხმალი და გული ჰსდომია,
ვაჟ-კაცის გამომჩენელიც მტერთან გულ-და-გულ ომია.
მამულის დახსნას არ მდომი თავისა-თავის მგმობია.
ძმანო, შინ ულღით სიცოცხლეს, ომში სიკვდილი სჯობია.
მაშ მამულს თავი შევსწიროთ საშველად, გამოსახსნელად,
თუ მისთვის დავიხოცებით, ჩვენ ის გვეყოფა სახელად.
ქართველო, ხელი ხმალს იკარ, დღე გათენდა დიდებისა
თოფ-იარაღი აისხი, დრო მოდის გამარჯვებისა.“

(ქუჩიდამ ისმის დედა-კაცების და სოფლის პაწარა ბიჭების ძახილი: „ჯარს გაუმარჯოს, ჯარს გაუმარჯოს“, ისმის კიჟინა და ხმაურობა).

დედა. (აღელვებული)

მიმიყვა, შვილო, დამანახვე ქვეყნის მხსნელნი,
რომ მით დავიტკბო დღენი ჩემნი უკანასკნელნი.

შვილი. (ჩამოიყვანს ლოგინიდგან დედას. შეუჯდება მხრებში და მიიყვანს ფანჯარასთან)

შეხე, დედილო, ამ გაწირულ ყმაწვილ-კაცობას,
ისე მიდიან სასიკვდილოდ, როგორც დღეობას.
(დედა რა დაინახავს ჯარს ცრემლს ვერ იმაგრებს და ტირის)

შვილი.

შეხედე, ხალხი რა რიგ ლოცვით ჯარსა აცილებს,
დიდი პატარა მხიარულობს, შენ რა გატირებს?

დედა.

ღმერთმა კურთხევა დიდს საქმეში წინ წაგვიმძღვაროთ!
ჩვენ კი დედებმა ღვთის წინ უნდა ცრემლები ვღვაროთ,
რომე შეგვასწროს მამულისთვის თავდადებულნი,
კიდევ გიხილოთ შინ მოსულნი, გამარჯვებულნი.
მიმიყვა, შვილო, ლოგინთანვე, მუხლი მეჭრება.
(შვილს დედა უკანვე მიჰყავს)
ვაიმე, შვილო, რამდენს დედა ატირდება,
როს ველარ ნახავს თავის შვილსა უკანვე მოსულს!...

შვილი.

რა ვუყოთ, თუ კი სხვა გზით შველა არა აქვს მამულს!
(ამ დროს ერთი ცხენოსანი მოადგება ფანჯარას და გარედამ იძახის)

ცხენოსანი

კიაზო, წამო!... რაღას იცდი, გვიგვიანდება,
დრო საშურია... ჩვენ ძმებს ჩვენით მშველი აკლდება.

შვილი.

აჰა მოვდივარ! აჰა, დედი, მოიეც გული,
ჩემგან მეომარს, შენგან შვილსა ითხოვს მამული.
(დედა გადეხვევა შვილს და გულზედ მიიკრავს)
მშვიდობით, დედი! შენ ჩემზედა ნუ დაღონდები,
ცოცხალი მოვალ, თუ არა და ისე მოვკვდები,
რომ ჩემს სიცოცხლეს ამჯობინონ ჩემი სიკვდილი...
ნუ სტირი, დედი!... გზათა ვდგევარ, დამლოცე შვილი.

დედა.

ვაი შენს დედას!... მოვიდა დრო განშორებისა
და გული მიმდის... უძლურია გული დედისა...
მაგრამ ნუ სწუხარ... გადამივლის... შვილო, მშორდები!?
ვაი თუ მოვკვდე და ვისგანღა დავიტირები?...
(ტირის და უფრო მაგრად გულზედ მიიკრამს შვილს. მერე უეც-რად ხელს ანებებს და-ზარ-დაცემულსავით თვალში შეაცქერ-დება. მცირეს ხანს ამ ყოფით არის).

დედა.

დედა არ გიყვარს, დედა შენი მოხუცებული?

შვილი. (გაოცებით.)

მერე რო მიყვარს?

დ ე დ ა.

— მასთან დარჩი!

შ ვ ი ლ ი.

— მერე მამული?

დ ე დ ა. (თითქო ეხლა გაახსენდაო.)

მართლა მამული!... იგი უფრო საყვარელია,
მაშ წადი შვილო!... ღმერთი იყოს შენი მხსნელია...
მაგრამ, ვაშ! მე რომ უშენოთ მარტო მოვკვდები,
ვიღა დამმარხავს?... წადი... წადი... ნუ გვიანდები...

შ ვ ი ლ ი.

ეჰა მამულო! შენის ტრფობის ძალსა ღვთიურსა—
რა დაუდგება? კლდის სიმაგრეს აძლევ უძლურსა...
ოდეს შენდამი სიყვარული დაიძვრის გულში,
დედაც კი შვილის სიყვარულს ჰკლავს შენს სიყვარულში!
რა სხივოსანი შენი შუქი აღმოარწყინდება
კაცის გულში, ყველა გრძნობა მასშია ჰქრება,
ვით მზის შუქში უმცირესი მნათობი ცისა,
ვით ზღვაშია დაცემული წვეთი წვიმისა.
მშვიდობით, დედა! ძნელი არის შენი დათმობა,
მაგრამ უფრორე ძნელი არის მამულის გმობა.

(შვილი გადის)

დ ე დ ა. (ლონე მიხდილი გადაიქცე-
ვა ლოგინზედ და სულთ
მობრძავი ამბობს).

გაიმე შვილო!... შენს წასვლასთან მიქრება ალი
ჩემის სიცოცხლის... უშენოთა ძნელია ყოფნა...
დიდხანს ებრძოდა შვილის ტრფობას მამულის ვალი,
ვალმა აჯობა, მაგრამ მწირად დამიჯდა ჯობნა.
სულიც ამომდის... არ ყოფილა ძნელი სიკვდილი
როცა შენ შენი აღასრულე... მამული... შვილი!...

---

## ხმა სამარიდამ

### I

სამართალს თვალითა ვსჭვრიდი,
გრომისთვის კაცსა გავყიდდი,
თვით ძმას ორმოს გავუთხრიდი
და ჩემ ჯიბეს ნელ-ნელ ვზრდიდი;
საზრდოს გლეხსა წავართმევდი,
მშიერ-მწყურვალს დავაგდებდი;
თუ შიმშილით მოკვდებოდა,
მე ის არ შემბრალდებოდა.
რაც კი რამ ჰქონდა საწყალსა,
ჩემ ჯიბეს აძლევდა ხარჯსა:

ჩემი ჯიბე ვტენე, ვტენე,
ისე მოვკვდი ვერ გავტენე.

## II

ობლის ვედრება, ტირილი
ჩემთვის იყო გაუგებრად;
განა ვიყავ მე გულ ჩვილი?
სხვის ტირილი მიჩნდა მღერად.
წვრილ-შვილნი გლეხთა ქვრივებსა
შიმშილით ეხოცებოდნენ,
მათაც კი ვსთხოვდი ფულებსა,
როს საქმისთვის მოვიდოდნენ.
იხრჩობოდა კაცს ვხედავდი,
მე შემეძლო მის მორჩენა:
მის მორჩენას გავბედავდი,
თუ მესმოდა ვერცხლის ბზენა.

## III

თუ არა და ხელსა ვკრავდი
და მას წყალში მე ჩავკლავდი;
ბევრსა საქმეს ამის მსგავსსა
მე ვიქმოდი მეტად კარგსა.
სიცოცხლეს კარგათ ვიცნობდი
და იმ ცნობით ვსარგებლობდი:
დროზედ სიბრმავე ვიცოდი,
დროზედ თვალის ახილება,

დროზედ სიფიცხით ვიწოდი,
დროზედ მქონდა დაზანტება.

## IV

გლეხებთან ვიყავ ჭკვიანი,
ტუტუცი ნაჩალნიკთანა;
უხმოსთან ვიყავ ხმიანი
და უსიტყვო ხმიანთანა.
ვინც მე შიშით მიყურებდა,
მას ბრაგა-ბრუგს დავუწყობდი
და ვინც კი დამიყვირებდა,
მას მე ფეხ-ქვეშ ვუძვრებოდი;
ღმერთმა მომცა მარდი ხელი
დაუღეჯელი თავის დღეში,
მუნით ცურდებოდა ჭრელი
ჩემ გაუმაძღარ ჯიბეში.

## V

სულ ჯიბისთვისა ვსცდილობდი,
მისთვის კაცსა ტყავს ვაძრობდი;
ეს წყეული ვტენე, ვტენე,
აჰა მოვკვდი ვერ გავტენე.
რაღა გითხრათ? ვიყავ კარგი
ქვეყნისათვის დიდი მარგი.
არც ვიყავ დიდი, არც მცირე,
ჩემ დღეში ცრუსათა ვსწირე;

არც ვიყავ გლეხი, არც ბეგი:
მაშ რა ვიყავ? მდივან-ბეგი!
და აწ მეხი გლეხებისა,
ერთგული ყმა ფულებისა
მტვრათა ვდევარ სამარესა,
მოდი, ენდე ცრუ სოფელსა!...
შეიბრალეთ ჩემი გვამი...
თუ ოდესმე ვინმემ მნახეთ,
საიქიოს თუა ქრთამი,
გამასხარეთ, ჩამომძახეთ!

13 დეკემბერს 1857 წ.

---

## ქართლის დედას.

,,აწმყო შობილი წარსულისაგან,
არის მშობელი მომავალისა.''
ლეიბნიცი.

ქართლის დედაო! ძუძუ ქართვლისა,
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა;
დედის ნანასთან ქვითინი მთისა;
მას უმზადებდა მომავალ გმირსა.
გაჰქრა ის დროცა!... დიდმა ნაღველმა,
კირთების ქვეშე დახაგრულ ბედმა
სრულად მიგვიღო სიცოცხლის ძალა

თვით შენი შვილიც ჩრდილსათ შესცვალა.
მითხარ, სადღაა მამა-პაპური
მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური?
სახელისათვის ამაყი თრთოლა,
მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა?
მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიგდოთ წარსულ დროებზედ დარდი,
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს...
აქ არის, დედავ, შენი მაღალი
დანიშნულება და საღვთო ვალი!...
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოთ ხმარობდე ქრისტის მცნებას,
შთააგონებდე კაცის სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას,
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს.
მენდე, მიიღებს ნერგს შენგან დარგულს,
და მოგვცემს ნაყოფს ვით კაცი კაცურს.
დედავ! ისმინე ქართლის ვედრება!
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინა ჰქონდეს ჭეშმარიტება
და უკან კვალი განათლებული.

15 დეკემბერს 1858 წ.

***

მესმის, მესმის სანატრელი,
  ხალხთ ჩაგრულის ხმა მტკვრევისა!...
სიმართლის ხმა ქვეყნათა ჰქუხს
  დასათრგუნვათ მონებისა.
აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა
  და აღვიძებს იმედს გულში:
ღმერთო, ღმერთო ეს ხმა ტკბილი
  გამაგონე ჩემს მამულში!...

29 ივლისს. 1860 წ.

---

## პოეტი.

მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,
  ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმებისთვის
  გამომგზავნა ქვეყნად ცამა.

—

მე ცა მნიშნავს და ხალხი მზრდის,
  მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
  რომ წარუძღვე წინა ერსა.

—

დიდის ღმერთის საკურთხევლის
  მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,

რომ ხალხისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვაში და სიხარულში;

—

ხალხის წყლული მაწნდეს წყლულად
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცედ გული;

—

მაშინ ცილამ ნაპერწკალი
თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ
მოვსწმენდ ხალხსაც ტანჯვის ცრემლსა!

22 ივლისს. 1860 წ.

---

32365

***

უსულდგმულო ცხოვრება
ცის ნიჭად ნუ გგონია,
იგი მიწის ყოფილა,
რასაც ბოლო ჰქონია!

—

ცხოვრებას აცისკროვნებს
სული საქმით მეტყველი
და ის უბოლო არი,
ვით სულის შთამბერველი.

—

ნეტა ვინც დიდის საქმით
    აღნიშნავს თავის დროსა!
ის იქავ ეწაფება
    უკვდავების წყაროსა!...

1860 წ.

---

## გუთნის დედა

გადი, გამოდი, გუთანო!
ლირლიცავ, ბანი უთხარო!

ერთ ბედ-ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ...
წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ:
ერთგულად ვჭიმოთ ჭაპანი ჩვენი,
უსიხარულოთ დავლიოთ დღენი,
ბელტო ბელტოზედ გარდმოვაწვინოთ.
და შრომის ოფლი მიწას ვაწვიმოთ.

---

ნუ დამიღონდი!... შენა უღელი
ჩემს უღელზედა არ არის ძნელი:
მეც შენებრ მიწას დავყურებ თვალით,
რადგანაც ზედა წამართვეს ძალით;
შენებრ მეც მელის მიწა ვით მსხვერპლსა,
სიკვდილის შემდეგ დასავიწყელსა.
შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?!...
მგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება:

რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?
ახა, რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,
რომე არჩენს მარტო მიწანი
და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს,
რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას?
მე ჩემის ჭირის, ჩემის წუხილის,
ჩემის კაცობის გულის დუღილის
სიტყვანი გულში მებადებიან,
მაგრამ გულშივე უხმოდ კვდებიან.

—

შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას,
როცა სიტყვასა მართალს გულში ჰკლავს!...
აჰ, მენდე, დაბავ, ჩემი უღელი
შენ უღელზედა უფროა ძნელი.
მაშ რა გალონებს?... გასწი ჭაპანსა
და გაიტანე გუთანი ბოლოს!
ნუ უღალატებ მკვლს ამხანაგსა,
ის შენ აცხოვრე, მან შენ გაცხოვროს!...

15 დეკემბერს 1858 წ.

## გაზაფხული.

ტყეს ესხმება ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჩვივის,

ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა ტირის.

—

აყვავებულა მდელო,
აყვავებულან მთები;
მამულო, საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?...

28 იანვარს 1861 წ.

---

## ბედნიერი ერი.

(იტალიელი პოეტის—ჯუსტის მიბაძვა.)

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?
  მძიმე ყალნით,
  ლამაზ ფალნით,
მორთული და მშვენიერი.
  უწყინარი,
  უჩივარი,
ქედ-დრეკილი, მადლიერი.
  უშფოთველი,
  ქვე-მძრომელი,
რიგიანი წესიერი.

ყოვლად მთმენი,
ვით ჯორ... ცხენი,
ნახედნი და ღონიერი.

*
* *

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
ყველა უნჯი,
ყველა მუნჯი,
გულ-ჩვილი და ლმობიერი;
თვალ ახმული,
. . . .
. . . .
ყველა ყრუი,
ყველა ცრუი,
ზვავა დამჯდარი, გულ-ხმიერი!
მცირე, დიდი
ყველა ფლიდი.
ცუღლუტი და მანკიერი.

*
* *

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
მტვერ წაყრილი,
თავ-დახრილი,
ყველა უქმი, უდიერი;
უზღუდონი
გზა მრუდონი,
არ გამტანი და ცბიერი;

მტრის არ მცნობი,
მოყვრის მგმობი,
სხვასთან მხდალი, შინ ძლიერი;
არ რის მქონე,
არ რის მცოდნე,
უზრუნველი და მშიერი.
ჩვენისთანა ბედნიერი
კიდევ არის სადმე ერი?

29 აგვისტოს 1871 წ.

---

*
* *

Да вродъ ли естъ родство души?
ლერმონტოვი.

ჩემო მკვლელო! ვიცი, ვიცი,
არ ხარ ისე მშვენიერი,
რომე შენის ერთის ნახვით
განცაცვიფრდეს უქმი ერი.

—

მაგრამ შენში რაღაცაა,
ის ათრთოლებს ნატვრით გულსა...
ეხლა კი მწამს, რომ ჰქონია
თვის ტოლობა სულთან სულსა.

1871.

## პარიჟი

ტვით მძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი
    დიდი დროშა დაიშალა...
კვლავ ქვეყნისა მჩაგვრავ ძალამ
    იგი დროშა დასცა დაბლა.

—

კვლავ ეწამა მოყვასთათვის
    საოცარი იგი ერი,
კვლავ დაიდგა დიდ—წამების
    მან გვირგვინი მშვენიერი.

—

კვლავ ქვეყნისთვის დაიღვარა
    წმინდა სისხლი წამებულის,
კვლავ დამარცხდა დიდი საქმე
    ყოვლად მხსნელის სიყვარულის.

—

კვლავ ძირს დასცეს იგი მცნება,
    ქვეყნის ხსნად მოვლინებული,
რომლისთვისაც თვითონ ღმერთი
    იყო ტანჯულ და ჯვარცმული.

—

კვლავ შეფერხდა ისტორია,
    განახლების შესდგნენ ძალნი
და კვლავ დღესასწაულობენ,
    გამარჯვებულნი მტარვალნი.

1873 წ.

## მტკვრის პირას.

(ლ. მაღალაშვილს)

კვლავ ჩემ წინ მტკვარი მორბის ქუხილით,
ამ ქუხილში ვსცნობ მშობლიურ გრგვინვას,
კვლავ ჩემი გული იმავ წუხილით
შეჰკვნესს მღვრივე ზვირთთ მღერითა დენას
კვლავ განიღვიძეს ჩვეულთა ფიქრთა
და აღმეშალა დიდის ხნის წყლული...
შევჰკვნეს, შევსტირი მე ამა ზვირთთა,
თითქო მათ შთანთქეს ჩვენი წარსული.
წაგშლიან კვალნი, დრო ნეტარო,
მტვრათ აღუგვიხარ საუკუნესა,
მისმინე აჯა, მისმინე, მტკვარო,
იმ დროთ გარდაეც ეს ჩემი კვნესა.

1863 წ.

---

* * *

ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?
რასაც ვმსახურებთ — მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ.
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშრად განვაგდოთ ხალხში,
ბოროტთ საკლავად და შორიდგან სეირს ვუყუროთ.

თუ გვცემს ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა,
რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი:
აგვიყოლია სიყრმიდგანვე ჩვენ ქართლის ბედმა,
და დაე გვძრახონ—ჩვენ მის ქებნით დავლიოთ დღენი.

—

ჩემზედ ამბობენ: „ის სიცუდეს ქართლისას ამბობს,
ჩვენ ცუდს არ მალავს—ეგ ხომ ცხადი სიძულილია!“
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე ჰსცნობს,
ამ სიძულილში რაოდენიც სიყვარულია!

1861 წ.

---

*
* *

მას აქეთ, რაც შენდამი ვსცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულ განაბული,
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება.

—

დაჟინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გროვდება,
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად იბრძვის ჩემ გულში,
და მე არ ვჩივი: მიხარიან, რომ ეგრე შვრება
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში.

—

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არის მხოლოდ სატირალი და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენს ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!...

6 აგვისტოს 1861 წ.

# მ უ შ ა.

---

«Въ трудѣ проходитъ жизнь его
И не приноситъ ничего»

## I

გოლვიან დღესა თბილისშია შუა ბაზრისკენ
მე ჩამივლია. ჩემო მუშავ! მინახვისარ შენ,
კედელთან მწოლი, მხურვალე მზე ზედ დაგყურებდა;
ჩუმი ლილინი შენი ხშირად გულს მიწყლულებდა.
ნაღვლიან ხმაში სულ ისმოდა შენი ცხოვრება:
დღიურ ლუკმისთვის ტანჯვა, შრომა და მწუხარება.
ვინა ხარ შენა, ჩემო ძმაო? სიდან მოსულხარ?
ბატონის მათრახს ვერ გაუძელ, გამოქცეულხარ,
მოშორებულხარ ჯალაბობას, შენს სახლ კარსა,
მინდორს მამულს და შეჩვეულს მიწასა, წყალსა?
თუ უნებლიეთ გადმოგტყორცნა მუხთალმა ბედმა,
ან მოგიტაცა სხვა კაცზედა მარტივ იმედმა?
აქ სად მოსულხარ?... რაც დაჰკარგე და რაც დასტოვე,
მის მაგიერი თბილისშია აბა რა ჰპოვე?...

## II

აი ტვირთ ქვეშ მოკაკულხარ, საბრალოვ, შენა!
ოფლი წურწურით ჰატიოსან შუბლით გეღვრება,
შეგუბებულის სულის ისმის დაღლილი ქშენა;

მიხვალ, საწყალო, ტომარის ქვეშ მუხლთ გეკვეთება!...
ვინ შეგიბრალებს! აგერ მოდის დიდ-კაცის დროშკა,
შენს პირდაპირა, იგი მოდის დაუდევნელად,
აგერ წამოგწვდა, დაგეჯახა და როგორც კოკა,
შენ,—კერძო ღვთისა,—არ დაგინდო დასამსხვრეველად.
შენ გარდიქეცი ტომარითურთ, და გამვლელ ხალხმა
მაგ შენ ყოფაზედ იწყო უგრძნოდ მაღლა ხარხარი...
რასაც შენ ჰგრძნობდი, ყველა ჰსთქვა მაგ მწუხარმა თვალმა,
იმავ დუმილით მიხველ. წევა დაუწყე ტვირთსა:
ძარღვნი გალურჯდნენ შენს სახეზედ, თითქო სკდებიან,
სწევ, ვერ ეწევი—გეკარგება შენ საზრდო დღისა...
ხალხი გიყურებს და არავინ არა გშველიან!...

## III

აჰა მიხველი, მიუტანე ტვირთი პატრონსა,
რუსულ ფარაჯის კალთით შუბლზედ იწმენდავ ოფლსა,
განივრად ძვრის დიდი მკერდი სიგრილეშია;
იცდი საწყალო!—შენი ლუკმა იმის ხელშია!...
ხშირად ამ ლუკმის მთლად მოცემა იმას შენთვის შურს
ხშირად ფასს გიკლებს, შიშველს, მშიერს, მწყურვალს უბე-
«ნუ მიტეხ ლუკმას, ეუბნები: «ღმერთსაც შეხედე!... დურს...
მე ეგე ლუკმა პირუტყვსავით ზურგით ვიყიდე».
შენ ულონო ხარ და ულონოს კაცი იბრიყვებს,
მდიდარს მეტს მისცემს, შენ კი გროშზედ შეგევაჭრება;
ვისაც არ უჭირს, მას გაამძღობს,—და შენ დაგიკლებს,
შენ, რომელსაცა ერთის გროშით დღე გემატება.
ეგრეთ დასჯილი უსამართლოდ ბევრჯერ წამოხვალ

და, თუ დაღამდა თავთ დაიდებ ერთგულ კურტანსა
და სადმე ქვეშზედ მიეგდები იმ ფიქრით, რომ ხვალ
ისევ ამ რიგათ განაგრძელებ უღვთო ჯაფასა.

## IV

შენ სიცოცხლესა დააღამებ ესრეთს შრომაში,
კაცი კაცურად ვერ იცოცხლებ ვერც ერთსა დღესა...
მერე ვინ იცის, რომელ ქოხში, რომელ სარდაფში
დაუწყებ ბრძოლას სასიკვდილოდ მოსულსა სენსა.
მარტო ეგდები და ლეიბად გექნება ნამჯა,
და სახურავად თუ კი მოგყვა რუსის ფარაჯა!...
მარტო იცოცხლებ და მარტოცა, ძმაო, მოჰკვდები
ჯალაბი შენი არ დაგასხამს მდუღარე ცრემლსა,
არ დაგტირებენ პატარები შენი შვილები.
ამაოდ მათკენ სიკვდილის ჟამს გაიწვდი ხელსა.
მოჰკვდები და მსწრაფლ ჩაგძვედავენ საკაცეშია,
დაუტირებლად ჩაგიშვებენ სამარეშია.
ეგრეთ უბრალოდ გაფუჭდები — და ჩვენ ხსოვნასა
არაფერი არ მოაგონებს შენს «აქ» ყოფნასა.

12 ივლისს 1860 წ.

---

## ლოცვა

მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!
მუხლ-მოდრეკილი, ლმობიერი ვდგევარ შენ წინა,

არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა ამით შეურაცხ-ვჰყო მე ლოცვა წმინდა.

—

არამედ კი მსურს განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ უნდათ გულს ლახვარი მკრან
გთხოვდე: «შეუნდე არ იციან, ღმერთო, რას იქმან»!

1863 წ.

---

## ჩ...სას.

უცხო თემის ყარიბს მთქმელსა
რად აღმიგზნე სიყვარული?...
ღამის, ტურფავ, შენს ტრფობაში
მე შთავწურო სრულად გული!

—

ერთხელ მითხრა: „ცხოველ ქვეყნის
ივერიის შობილი ხარ;
მაღალ მთების ქარიშხალით,
ელვით, ჭექით გაზრდილი ხარ.“

—

„მე ჩრდილოეთის ველზედ ვჰყვავი,
ზამთრის სუსხით დაჩაგრული;
შენს მხურვალს გულს ვითა გასცემს
პასუხს ჩემი ცივი გული?!“...

—

ტურფამ ეგრე განირიდა,
ჩემი წმინდა სიყვარული
სჩანს, ოდითვე დანიშნულა
უზიაროთ ჩემი გული!...

1871 წ.

---

. ბ მ—სას.

ნუ, ნუ მაყვედრი, რომ ყოველს ჩემგანს
ხელსა ვაწვდიდი მეგობრობისას,
რომ უარ ვჰყოფდი ჩემთ მოძმეთ შორის
სულის სიმდაბლეს, მხამსა მტრობისას ..

—

მე კაცთ სიკეთის მხურვალე რწმენა
ჭირში თუ ლხინში წინ მიმიძღოდა;
გული თრობილი მის წმინდა მადლით
ჭკუის ცივ თათბირს ეურჩებოდა.

—

ნუ მეუბნები რომ იგი იყო
უგუნურება და ცდომილება..
ოღონდ კვლავ მომე: ის ცდომა მიჯობს,
ვიდრე უცდომი გამოცდილება!

—

დავკარგე იგი!... აწ მის დამკარგავს
უმადლ-უნუგეშ მივისდა გული;

უმისოდ გული ცავია, ბნელი,
ვითა სადგური გაუქმებული.

—

ნეტა მას, ვისაც იმ რწმენის შუქი
ერთხელ მაინც გულსა ჰფენია!
უფრო ნეტა მას, ვის სამარემდე
გულით რწმენილი გულსვე ჰშთენია!

—

ნუ, ნუ მეყვედრი, რომ ყოველს ჩემგანს
ხელსა ვაწვდიდი მეგობრობისას,
რომ უარ-ვჰყოფდი ჩემთ მოძმეთ შორის
სულის სიმდაბლეს, შხამსა მტრობისას!...

1877 წ.

---

* * *

ვიხილე სატრფო: იგი ცრემლს ღვრიდა,
ბედს და სიყვარულს მოთქმით დასტიროდა!
მის ცრემლი დამჭკნარს ვარდს დასდიოდა,
და მეც შორს მისგან ცრემლი მცვიოდა.

—

მოვიდა სხვა დღე, განქრა მის დარდი...
მას ხელთა ეპყრა სხვა ტურფა ვარდი;
იმ ვარდს ტრფობითა ის დაჰღიმოდა
და მე კი მაინც ცრემლი მცვიოდა.

1877 წ.

# თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზე.

,,ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვე
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარ

ყრმაო—პოეტო! ღვთით იყო შენი სიკვდილი!...
ვინ უწყის, რამდენი საუნჯენი დავმარხეთ ჩვენა,
ეგ მტკიცე გული სიყვარულის სხივ-ქვეშ განშლილი
რამდენ გრძნობით, ჯერ უთქმელით, ჩვენ ჩაგვესვენა?
ვინ იცის თანა რამდენი წარილე ფიქრნი?
მათ მნიშვნელობა დაგვეკარგა ჩვენ საუკუნოდ;
რამდენთ იმედთ და ნუგეშთა კოკრათ ყვავილნი
ჩაჭკნენ შენს გულში გაუშლელად, ეგრე უდროოდ?
არა დედ-მამა—მაგ სიკვდილით დაობლდა ერი!...
ვისღა მივანდოთ ჩვენი გრძნობა ტანჯვა და ლხენა?
მაგრამ, პოეტო საყვარელო, ხარ ბედნიერი,
რომ შენი ლექსი, თვით სიკვდილითაც არა გკლავს შე

1860 წ. აგვისტოს.

# სალამური

ანუ

ლექსთა კრება

№ I

გამოცემის ზ. ჭიჭინაძისაგან

---

თბილის
მდ. როტინიანცის და კომპ. სტამბა.
1882

Дозволено цензурою 13 Августа 1882 года, Тифлисъ

# ნ ა ნ ა.

ნანა, შვილო, ნანინა!
ნეტა რამ შეგაშინა?
რაზედ შეკრთი მტირალნი?
რისთვის მომაპყარ თვალნი?
ჯერ ხომ შენი ბედი,
გრძნობა წინა მორბედი,
არ უხატავს მაგ შენს თვალს
ქართველთადმი ღვთიურს ვალს!...
მაშ რაღამ შეგაშინა?
ნანა, შვილო, ნანინა!
ჯერ მინამ ხარ უმაწველი;
მინამ დრო მოგესწრობა,
ისწრაფე, შვილო, ძილი,
ისწრაფე განსვენება!
მოვა დრო, გაიზრდები,
მკლავი გაგიმაგრდება,
შვილო, ყრმობის სიზმრები
ბრძოლაზედ გაგეცვლება.
არ შემიდრკე მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!
ნახამ ჩვენ ბედ მაობას,
ჩვენს ერთობას დაკარგულს,

ჩვენსა წამხდარს გმირობას
და მამულს დაობლებულს;
აინთე ცეცხლით გული,
მტერსა დაეცი მეხად,
ან, ვით შვილი ერთგული
დაეკვდი მამულს მსხვერპლად!
არ შემიძრკე მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!
დედათა გული ჩვილი
მამულისთვის მაგრდება,
რათ მინდა იგი შვილი
თუ მისთვის არ მოჰკვდება!
ვისაც მე არ შეუკლავს,
როს მამულს სჭირებია,
შვილო, იმ ვაგლახ დედას
შვილი არ ჰყვარებია!
მე ისე არ წავხდები,
ნანა, შვილო, ნანინა!
ჩემი მამულისათვის
მე ჩემ ძუძუს გაწოვებ,
მისის სიკეთისათვის,
გაგწირავ და გაბრძოლებ;
მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამათაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია!...
შენ ისე არ წახდები,
ნანა, შვილო, ნანინა!

იცოდე ეს სიკვდილი
მეტი დიდი რამ არი!...
უკვდავი არის შვილი,
მამულისთვის მომკვდარი!
მამულს მიგცა ზეცამა
და თუ ზედ დააკვდები,
ნუგეში გცეს დედამა,
რომ კაჲი კაცად ჰკვდები.
    ნუგეში გცემ მაშინა,
    ნანა, შვილო, ნანინ!
სიკვდილს წამში მამულსა,
შვილო, შენც გაუღიმებ,
რომ სისხლს მისგან მოცემულს
მასვე გმირებ უბრუნებ:
აღსრულდება ღიმილით,
რომ მამულს არ უმტყუნებ
და შენ შენის სიკვდილით,
მის სიკვდილი დასთურგნე.
    გაიხარებ მაშინა,
    ნანა, შვილო, ნანინა!
თუ ეგრე შენ მოჰკვდები,
ნუ გინდა ნურა ძეგლი,
ისეც უკვდავ იქმნები,
ვით დედის შენის ცრემლი!
ჩემი ნანა ეს არის!
შვილო, მას უერთგულე,
რაც მე სიტყვით გითხარი,
შენ საქმით აღმასრულე.

ჩანს მამულის მსხვერპლო,
ჯაწაწინა ქართველო!

ი. ჭავჭა

1859 წ.

---

## შიქასტა.

ვით სნეულსა თანა უგრძნობს,
მისივე მსგავსი სნეული,
ისე მკვნესარს შიქასტის ხმას,
ძგერით უგრძნობს ჩემი გული.

ოხ, მეზურნე, დაჰკა, დაჰკა!
გამაგონე ეგ სევდის ხმა!
მაგაშია ჩემთა ძველთა,
მამაცური ოხვრა მოთქმა.

გამიხურე ჭანგით გული,
ეგებ დასძრეს მწუხარება
და ჩემთ თვალთა გარდმოსთხიონ
ნაღვლიანი მწუხარება.

ვიცი, ცრემლი მამაკაცსა,
შეარცხვენს და არ შეშვენის;
მაგრამ მიჯობს ჩუმათ ტანჯვას,
ცრემლი ვღვარო, არა მრცხვენის.

ნუ ვინ სცდილობს, იმ ცრემლებში,
რომ გამოსცნოს სიყვარული;
იქ იქმნება საიდუმლო,
გულ გამხეთქი, დაფარული.

ყოველს წვეთში რუქას ნახავს,
ქართლის ტანჯვის გამომხატველს,
და მწარესა ნაკადულში
უიმედობას გულის მომწყვლელს.

ახ, მეზურნევ, დაჰკა, დაჰკა!
ეგებ დასდნეს მწუხარება
და ჩემთა თვალთა გადმოსთხიონ
ნადვლიანი მდუღარება.

აკაკი.

1862 წ.

---

## ႤႪႤႢႨႠ.

მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა,
მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა
და თეთრი ზოლი შორის მთებისა,
ლაჟვარდ სივრცეში ჩაინთქებოდა.

არსად ხმა, არსით ძახილი!!...
მშობელი მშობლის არას მეტყოდა,

ზოგჯერ კი, ტანჯვით გამოძახილი
ქართლის მიწშია კვნესა ისმოდა.

ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი,
კვლავ ჩემ ქვეყნის მიწს ეალერსება;
ოხ, ღმერთო ჩემო! სულ მიწა, მიწა,
როსდა გვექმნება ჩვენ გაღვიძება?...

ი. ჭავჭავაძე

---

## მე ქართველი ვარ!

მე ქართველი ვარ! ჩემი სამშობლო,
ორ ზღვას შუას გადაჭიმული;
თუმც პატარაა, მაგრამ ბუნებით,
ყოვლის სიმდიდრით არის შემკული.

მის დიდროვანნი მაღალი მთები
შეხეთ, თითქო ცას ებჯინებიან
და იქიდამ ტურფა ქვეყანას,
ამაყურათა თავს დასცქერიან.

მე, ქართველი ვარ! მთლათ ქართველობა,
რაღაც ღრმა მიწში არის ჩაფლული
და მამულისთვის არა ღელდება
გაქვავებულა იმისი გული!

როს ვაკვირდები ჩვენს ამ გვარ ყოფას,
სული და გული კვნესას დამიწყებს,

მაგრამ იმედი, ისევ იმედი,
სულით მაშვრალსა მარად მამხნევებს.

მე ქართველი ვარ! მრწამს, რომ როდისმე,
წავა, გაივლის ეს დრო ძილისა
და დღესა თუ ხვალ, უეჭველათა
გამობრწყინდება მზე განათლების.

, . . . . . . . .

მე ქართველი ვარ! მაგრამ მითხარი:
აწ რაღა არის კაცი ქართველი?
ის იმყოფება სიბნელეშია
და თვალებს სჭვალავს დღისა ნათელი.

აქ აღარ ისმის ხმა ცხოვრებისა.
[illegible]
და თვითონ ჩვენი ღვიძლი მოძმენი
სიცოცხლეშივე საფლავს გვითხრიან!

ი. ბაქრაძე.

---

## სამშობლო.

პოემიდამ: «ლევან-ბატონიშვილი».

დასაბამითვე ჩვენო სამშობლოვ,
შენა ყოფილხარ ველი ბრძოლისა,
შენზედ მრავალ ხალხს შეუბრალებლად
უყენებიათ გუბე სისხლისა.

ჩანს მამულის მსხვერპლი,
ჰაწაწინა ქართველი!

**ი. ჭავჭავაძე**

1859 წ.

---

## შიქასტა.

ვით სნეულსა თანა უგრძნობს,
მისივე მსგავსი სნეული,
ისე მკვნესარს შიქასტის ხმას,
ძგერით უგრძნობს ჩემი გული.

ოხ, მეზურნე, დაჰკა, დაჰკა!
გამაგონე ეგ სევდის ხმა!
მაგაშია ჩემთა ძველთა,
მამაცური ოხვრა მოთქმა.

გამიხურე ჭანგით გული,
ეგებ დასძრეს მწუხარება
და ჩემთ თვალთა გარდმოსთხიოს
ნაღვლიანი მწუხარება.

ვიცი, ცრემლი მამაკაცსა,
შეარცხვენს და არ შეშვენის;
მაგრამ მიჯობს ჩუმათ ტანჯვას,
ცრემლი ვღვარო, არა მრცხვენის.

ნუ ვინ სცდილობს, იმ ცრემლებში,
რომ გამოსცნოს სიყვარული;
იქ იქმნება სიდუმლო,
გულ გამხეთქი, დაფარული.

ყოველს წვეთში რუქას ნახავს,
ქართლის ტანჯვის გამომხატველს,
და მწარესა ნაკადულში
უიმედობას გულის მომწყვლელს.

ახ, მეზურნევ, დაჰკა, დაჰკა!
ეგებ დასდნეს მწუხარება
და ჩემთა თვალთა გადმოსთხიონ
ნაღვლიანი მდუღარება.

აკაკი.

1862 წ.

---

## ელეგია.

მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა,
მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა
და თეთრი ზოლი შორის მთებისა,
ლაჟვარდ სივრცეში ჩაინთქებოდა.

არსიდამ ხმა, არსით ძახილი!!...
მშობელი მშობლის არას მეტყოდა,

ზოგჯერ კი, ტანჯვით გამოძახილი
ქართლის ძილშია კვნესა ისმოდა.

ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი,
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება;
ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსღა გვექმნება ჩვენ გაღვიძება?...

ი. ჭავჭავაძე

---

## მე ქართველი ვარ!

მე ქართველი ვარ! ჩემი სამშობლო,
ორ ზღვა შუა გადაჭიმული;
თუმც პატარაა, მაგრამ ბუნებით,
ყოვლის სიმდიდრით არის შემკული.

მის დიდროვანნი მაღალი მთები
შეხეთ, თითქო ცას ებჯინებიან
და იქიდამა ტუროვა ქვეყანას,
ამაყურათა თავს დასცქერიან.

მე, ქართველი ვარ! მთლათ ქართველობა,
რაღაც ღრმა ძილში არის ჩაფლული
და მამულისთვის არა ღელდება
გაქვავებულა იმისი გული!

როს ვაკვირდები ჩვენს ამ გვარ ყოფას,
სული და გული კვნესას დამიწყებს,

მაგრამ იმედი, ისევ იმედი,
სულით მაშვრალსა მარად მამხნევებს.

მე ქართველი ვარ! მრწამს, რომ როდისმე,
წავა, გაივლის ეს დრო ძილისა
და დღესა თუ ხვალ, უეჭველათა
გამობრწყინდება მზე განათლების.

, . . . . . . . .

მე ქართველი ვარ! მაგრამ მითხარი:
აწ რაღა არის კაცი ქართველი?
ის იმყოფება სიბნელეშია
და თვალებს სჭვალავს დღისა ნათელი.

აქ აღარ ისმის ხმა ცხოვრებისა.
[illegible]
და თვითონ ჩვენი ღვიძლი მოძმენი
სიცოცხლეშივე საფლავს გვითხრიან!

ი. ბაქრაძე.

---

## სამშობლო.

პოემიდამ: «ლევან-ბატონიშვილი».

დასაბამითვე ჩვენო სამშობლოვ,
შენა ყოფილხარ ველი ბრძოლისა,
შენზედ მრავალ ხალხს შეუბრალებლად
უქნებიათ გუბე სისხლისა.

იმავ თავითვე შენა ყოფილხარ,
საზრდო ლუკმა მძლავრის მტრებისა,
თავში საცემი და მეოხება,
შენი საწყალი მცხოვრებლებისა.

ხან ეცემოდა და მტერთა ჯარი,
ამ დროს გლეწავდა შეუბრალებლად;
და ხან უეცრივ ფეხზე დგებოდი
მრავალი მტრის შესამუსრავად.

ამ დროს ისმოდა განძვინებული
ინდოეთამდის ქართველის ხმაი:—
ოსმალთ შემუსვრა—სპარსთა განდევნა—
შინაურ მტრებზე გამარჯვებაი.

მაგრამ ეს მძლავრი დიდებული ხმა,
დიდ-ხანს, სამშობლოვ, არ გრძელდებოდა;
ორიოდ სამი, ოთხი წლის შემდეგ,
ეს ხმა სრულიად სადღაც ჰქრებოდა.

აქ ისევ შენა წინანდებურად
ურიცხვი მტრების ლუკმა ხდებოდი,
წინად მამაცი, გმირი ქვეყნისა;
მტრის მონების ქვეშ იგაგვებოდი.

ნ. ლომოური.

1872 წ.

*
* *

ეჰ ქართველო, რა კაცი ხარ!
ეს რასა ჰგავს ერთი მითხარ?
თუ ისწავლე ანა ბანა,
იმ წამს ჩემობ განათლებას,
ალაგიც გსურს იმასთანა,
შეეწიო, რომ ძმას ყველას;
რომ დაიცვა ამხანაგი,
უღმერთობას ვინც გაბედავს,
აბა მოგცენ შენ ალაგი
მაშინ ზედაც არ შეხედავ!...
მაშინ გიყვარს შენ მამული
და გძულს, ძმაო, უცხო ტომი,
რომელსაც ხარ დაჩაგრული,
რის ბედთან გაქვს მწარე ომი.
მაშინ გიყვარს თანა მოძმე,
რის არა გაქვს ცალი ფული,
აბა მოგცენ ჯილდო რაშე,
როგორ გახდე ძმის ორგული!
მაშინ ქართველი ვინ არი,
რაკი ნახავ თბილს ალაგსა,
შენი სამშობლო ის არი
სადაც ნახავ ჩინის ბანაკს.
ბევრს დაეძებ ქართველებსა,
თუნდ შენს თვითან მამულსაცა!...
აგრე შენებრ იუდამაც
ხომ ჩემო ძმავ ქრისტეც გასც!...

ეჰ, ქართველო რა კაცი ხარ!
ეგ რასა ჰგავს ერთი მითხარ?
. . . . . . . .
. . . . . . .

ი. კერესელიძე.

1867 წ.

---

# მამულს.

## სიმღერა

„აღზდეგ მამულო აყვავდი ახლად,
გაშალე მორად ძველებრ ხელები,
სიცოცხლე ჩვენი იხმარე ნამგლად
და ზედ აღზარდე უცხო გმირები!
ნაბდისა ქუდი კვლავ დაიხურე;
სახელოვნების თვლებით შემკული,
მტრის ძალადობა კვლავაც დასწურე!
ნუ დაგვიწყნია ხმალი ქებული,
გაგლიჯე ჯაჭვი ეგ გრძელ ხნიანი,
შემოხვეული ქედზე ვნებისა!
გა ასპარეზზე მახვილ ხრმლიანი,
ძველის ერთობით, თავისუფლებით·
დროა საყვირსა თამამად სცემდე,

და მაგ გმირულის შემძლე მკლავებით
სახელსა რწყავდე კიდის კიდემდე!“

მ. ფაზელი.

**1872 წ.**

## სამშობლო ენისადმი.

სამშობლო ენავ, რათ მოგვეფარე?
რათ დაგვაობლე, რათ არ გვემყარე.
აკი ატკბობდი ქართველთა ადრე?
ახლა რა გცოდეთ?... რო გაგვეყარე!...
რათ მირბი მალზე, ზურგ შემოქცევით?
სამშობლო ენავ, გულ შეშფოთებით!
იქნება სწუხდე ჩვენ გვერდსა ყოფნით
და მასთვის იყო შენ მრისხანებით?
მართლა! ოჰ! ჟამთა გარემოებამ,
გული მოგიწყლა, გიპყრა მით სევდამ,
მაგრამ ნუ გვრისხავ — გვეტყვა ზენამ
და ბევრ ხანს გვჩაგრა ბედის-წერამ!...
ნუ გაგვშორდები, გვედრით ყოველნი;
დიდნი, თუ მცირე, შენნი ქართველნი;
მოგვხედე აბა! ვით სუსტი ხელნი,
შენდა გვაქვს გართხმულ, ვართ მუხლ დადგმულნი,
გვაკმარე წყრომა, გული იბრუნე;

ზოგჯერ კი, ტანჯვით გამოძახილი
ქართლის მიწაში კვნესა ისმოდა.

ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი,
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება;
**ოხ**, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსდა გვექმნება ჩვენ გაღვიძება?...

**ი. ჭავჭავაძე**

---

## მე ქართველი ვარ!

მე ქართველი ვარ! ჩემი სამშობლო,
ორ ზღვა შუას გადაჭიმული;
თუმც პატარაა, მაგრამ ბუნებით,
ყოვლის სიმდიდრით არის შემკული.

მის დიდროვანი მაღალი მთები
შეხეთ, თითქო ცას ებჯინებიან
და იქიდამა ტურფა ქვეყანას,
ამაყურათა თავს დასცქერიან.

მე, ქართველი ვარ! მთლათ ქართველობა,
რაღაც ღრმა ძილში არის ჩაფლული
და მამულისთვის არა ღელდება
გაქვავებულა იმისი გული!

როს ვაკვირდები ჩვენს ამ გვარ ყოფას,
სული და გული კვნესას დამიწყებს,

მაგრამ იმედი, ისევ იმედი,
სულით მაშვრალსა მარად მამხნევებს.

მე ქართველი ვარ! მრწამს, რომ როდისმე,
წავა, გაივლის ეს დრო ძილისა
და დღესა თუ ხვალ, უეჭველათა
გამობრწყინდება მზე განათლების.

, . . . . . . . . .

მე ქართველი ვარ! მაგრამ მითხარი:
აწ რაღა არის კაცი ქართველი?
ის იმყოფება სიბნელეშია
და თვალებს სჭვალავს დღისა ნათელი.

აქ აღარ ისმის ხმა ცხოვრებისა.
[illegible]
და თვითონ ჩვენნი ღვიძლი მოძმენი
სიცოცხლეშივე საფლავს გვითხრიან!

ი. ბაქრაძე.

---

## სამშობლო.

პოემიდამ: «ლევან-ბატონიშვილი».

დასაბამითვე ჩვენო სამშობლოვ,
შენა ყოფილხარ ველი ბრძოლისა,
შენზედ მრავალ ხალხს შეუბრალებლად
უყენებიათ გუბე სისხლისა.

იმავ თავითვე შენა ყოფილხარ,
საზრუნო ლუკმა მძლავრის მტრებისა,
თავში საცემი და მეოხება,
შენი საწყალი მცხოვრებლებისა.

ხან ეცემოდა და მტერთა ჯარი,
ამ დროს გლეწავდა შეუბრალებლად;
და ხან უეცრივ ფეხზე დგებოდი
მრავალი მტრის შესამუსრავად.

ამ დროს ისმოდა განძვინებული
ინდოეთამდის ქართველის ხმაი:—
ოსმალთ შემუსვრა—სპარსთა განდევნა—
შინაურ მტრებზე გამარჯვებაი.

მაგრამ ეს მძლავრი დიდებული ხმა,
დიდ-ხანს, სამშობლოვ, არ გრძელდებოდა;
ორიოდ სამი, ოთხი წლის შემდეგ,
ეს ხმა სრულიად სადღაც ჰქრებოდა.

აქ ისევ შენა წინანდებურად
ურიცხვი მტრების ლუკმა ხდებოდი,
წინად მამაცი, გმირი ქვეყნისა;
მტრის მონების ქვეშ იკაკვებოდი.

ნ. ლომოური.

1872 წ.

*
* *

ჰე ქართველო, რა კაცი ხარ!
ეს რასა ჰგავს, ერთი მითხარ?
თუ ისწავლე ანა ბანა,
იმ წამს ჩემობ განათლებას,
ალაგიც გსურს იმასთანა,
შეეწიო, რომ ძმას ყველას;
რომ დაიცვა ამხანაგი,
უღმერთოსას ვინც გაბედავს,
აბა მოგცენ შენ ალაგი
მაშინ ზედაც არ შეხედავ!...
მაშინ გიყვარს შენ მამული
და გძულს, ძმაო, უცხო ტომი,
რომლისაც ხარ დაჩაგრული,
როს ბედთან გაქვს მწარე ომი.
მაშინ გიყვარს თანა მოძმე,
როს არა გაქვს ცალი ფული,
აბა მოგცენ ჯილდო რამე,
როგორ გახდე ძმის ორგული!
მაშინ ქართველი ვინ არი,
რაკი ნახავ თბილს ალაგსა,
შენი სამშობლო ის არი
სადაც ნახავ ჩინის ბანაკს.
ბევრს დაეძებ ქართველებსა,
თუნდ შენს თვითან მამულსაცა!...
აგრე შენებრ იუდამაც
ხომ ჩემო ძმავ ქრისტეც გასცა!...

ეჰ, ქართველო რა კაცი ხარ!
ეგ რასა ჰგავს ერთი მითხარ?
. . . . . . . .
. . . . . . .

Ი. კერესელიძე.

1867 წ.

---

## მამულს.

### სიმღერა

უაღზდეგ მამულო აყვავდი ახლად,
გაშალე მორად მკლებრ ხელები,
სიცოცხლე ჩვენი იხმარე ნამგლად
და ზედ აღზარდე უცხო გმირები!
ნაბდისა ქუდი კვლავ დაიხურე;
სახელოვნების თვლებით შემკული,
მტრის ძალადობა კვლავაც დასწურე!
ნუ დაგვიწყნია ხმალი ქებული,
გაგლიჯე ჯაჭვი ეგ გრძელ ხნიანი,
შემოხვეული ქედზე ვნებისა!
გა ასპარეზზე მახვილ ხრმლიანი,
მკლავის ერთობით, თავისუფლებით.
დროა საყვირსა თამამად სცემდე,

და მაგ გმირულის შემძლე მკლავებით
სახელსა რწყევიდე კიდის კიდემდე!“

მ. ფაზელი.

**1872 წ.**

---

## სამშობლო ენისადმი.

სამშობლო ენავ, რათ მოგვეფარე?
რათ დაგვაობლე, რათ არ გვემყარე.
აკი ატკბობდი ქართველთა ადრე?
ახლა რა გცოდეთ?... რო გაგვეყარე!...
რათ მირბი ძალზე, ზურგ შემოქცევით?
სამშობლო ენავ, გულ შეშფოთებით!
იქნება სწუხდე ჩვენ გვერდსა ყოფნით
და მისთვის იყო შენ მრისხანებით?
მართლა! ოჰ! ჟამთა გარემოებამ,
გული მოგიწყლა, გიშურა მით სევდამ,
მაგრამ ნუ გრისხავ — გვიტევა ზენამ
და ბევრ ხანს გვჩაგრა ბედის-წერამა!...
ნუ გაგვშორდები, გვედრით ყოველნი;
დიდნი, თუ მცირე, შენნი ქართველნი;
მოგვხედე აბა! ვით სუსტი ხელნი,
შენდა გვაქვს გართხმულ, ვართ მუხლ დადგმულნი,
გვაკმარე წყრომა, გული იბრუნე;

ღიმილით მოველ ურმათ მოგვილხინე,
თავსა ზედ ჩვენსა მადლი მოჰფინე;
ჩვეულებრ დაფნით დაგვაგვირგვინე!...
ვიცით ცხადათა, რომ ჩვენ არ ძალ-გვიძს,
კვლავ აღდგინება იმ ნეტარ დღისა,
როს შოთა, შავთველ ჩანგ ჩასრუხისა,
შეადგინებდნენ სამკაულს ენის!...
მაგრამ მაინც გთხოვთ ცრემლით, ქართველნო
სამშობლო ენავ, ჰკურნო ეს სენი,
რომლითა დღემდე ვით უზრუნველი,
გულს გიწუხებდით ღრმათ მძინარენი.

ი. გერიძე.

1859 წ.

---

## ღირს სახსოვარი კოშკი.

შენ მოაგონებ შენსა მხილველსა,
დროსა ნეტარსა, წარსულსა ძველსა!
ამაყად ეტყვი ყოველს ქართველსა,
თუ ვით სცხოვრობდნენ იმ დროს იმ წელსა!
მოველ რა ახლოს და როს გიხილე,
ვით ცა გამელო მყის მოგილხინე,
ერთის მხრით გული კიდეც მიტირდა,
ვით ოცნებაში რაღაც მიკვირდა!

გიმზერდი ფიქრით, ოხვრით მჭმუნვარე,
იდუმალ შენ წინ ცრემლები ვღვარე.
მშვენიერათ აგრე აღშენებული,
ერთხელ შენც იყავ ყოვლად ქებული,
ყოველს კუთხიდგან დაგიწყე მზერა,
გარნა ვერ ვპოვე ვერსად წარწერა!
ნეტა ვინ იყო, რომელმან აგრე,
აღამკო ტურფად შენი სიმაგრე!
შენ ხარ სასსოვრად ძეგლად ქართველთა,
ნეტამც ვიცოდე ვინ აღგაშენა?
როდის, რა დროსა, რომელსა წელსა,
შენ შეუქმნიხარ რომელს მეფესა?
მომითხარ აბა, პასუხსა ველი,
შენსა მიდამო ვეტრფი სიამით,
გიმზერ გულ წრფელი შენი ქართველი
და ვინუგეშებ მე მხოლოდ ამით:
რომ მომაგონებ დროთა წარსულთა;
მამულისათვის თავ-გაბასრულთა,
მარამ შენ ისევ ვით აწინდელი,
ისევ ტურფა ხარ კმა საყოფელი,
გარეთ გმოსიეს თითქო ის ძალი,
ოდეს გფარვიდა ქართველთა ხმალი!
რა ვეღარ ჰპოვე აქ ქორონიკო,
განსვენებითა კვლავად მსურს იყო,
აგრე ძველებურ შეურყეველი,
აგრე სიმაგრით შენ უძლეველი!

დ. ბერიევი.

1859 წ.

## ფუჭი ძენი

ქართულზედ რომ ხელს იღებენ,
ველარცა რუსულს ახერხებენ,
ულვაშებს ემტერებიან,
რუსულად ბაკებს უშვებენ.
ქართულს ენას არად ჰხდიან,
შვილებს კარგათ არა ზრდიან,
ტრეტიაკოვსკის აქებენ
და რუსთველს კი დასცინიან.
ეს გახლავან ჭრელაძენი,
საქართველოს ფუჭი ძენი,
უსწავლელნი სწავლულები,
კოტრი კრეზი, სულელ ბრძენნი.

მესამე თერგ დალეული

---

*
* *

შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი,
დაჰკა გრძნობით დაირასა,
თუ ხარ საქართველოს შვილი,
ნუ მომაკლებ მაგ ტკბილ ხმასა.

მე მაგ ხმამან სანეტარომ,
მომამატა მწუხარება,
მასში ისმის ხევდიანი,
ჩემის ქვეყნის მდგომარება.

მამა პაპათ ეგ მაგონებს,
ეგ მიწყლულებს ტანჯულს გულსა;
ეგ არის რომ წარმომიდგენს,
ჩემ სამშობლოს დაჩაგრულსა.

ტურფავ დაჰკა. დაჰკა გრძნობით,
შემოსძახე ქართველურად;
დაჰკა მაგ ხმას მსურს დავაკლა,
მსხვერპლად თავი ჩემი სრულად.

შენმა მღერამ დამაღრუბლა,
მომიმატა მწუხარება,
მასში ისმის სევდიანის,
საქართველოს მდგომარება!

ი. კერესელიძე.

1872 წ.

---

## ქართული ნანიდამ.

დაიძინეთ ქართველებო გეტყვით ნანასაო;
მერმე თქვენ რომ დაგაძინებთ, მეც მოგცემთ ბანსაო.
აგერ უყურეთ რუსებსა, ანუ სომხებსაო,
რა ნაირად ეძიებენ განათლებასაო;
თქვენ მამულში [illegible] მქართველ სკოლებსაო,
თქვენ კი, ჩემო სიცოცხლენო, მშვენიერს ყრმებსაო,
შეგცქერიან, როგორც რომა, ორი წლის ბავშსაო...

ნამძინარევს იტყვით ხოლმე: ჰხედავთ თბილისსაო!...
და მის შემდეგ თქვენ გადაჰკრავთ კახურ ღვინოსაო,
მეთაქაზედ წამოსწვებით, იწყებთ ხვრინვასაო...
ნანა, ვარდო სამოთხისავ, სუ მისდევთ ფიქრსაო;
რაც უნდა რომ დაგემართოთ, სუ მისდევთ ფიქრსაო!...
დაიძინე საქართველოვ, იავ ნანინაო!...

. . . . . . . . . .

ვანო გარათაშვილი

1866 წ.

---

*
* *

გლეხ-კაცის ტანჯვას ვინ მოსთვლის?
ვინ მისცემს მის სენს წამალსა?
— იგი, რომლისაც არსება
გაუნათლია სწავლასა.
რომელიც ჰხედავს თავის ძმად
კაცსა ტანჯულსა, საწყალსა.
— იგი, ვინც საქმით ვინც შრომით
ელტვის კაცთ თანასწორობას;
ნამდვილის სწავლით შეჭურვილი
რისხვას სცემს უსამართლობას.
— იგი, ვინც ამ გვარ სულითა
გლეხ-კაცსა გვერდზედ უდგება,
ლხინში ის მიჰყავს პირველი
ჭირში თვით წინა უძღვება!

ნ. ლომოური.

1880 წ.

## გ ლ ე ხ ი.

ოხ, გლეხო კაცო, შენი საქმე გამკვირვებია,
დამცრობია შენი, სჩანს, ვაჟსას არ შემლებია!
არავინ არის, რომ შენსავით უფალს ვედრიყოს,
და შენსავე-კი წყალობასა მოკლებული იყოს...
მიკვირს, რით ვერ გყოფ, ჟამთა რიცხვსა გულ-დაღონებილი,
ოდესს ხვედრი შენი არის უკვე გრძნობილი?
დასაბამიდგან შენ სახელად „გლეხი" გწვევია,
და მწუხარება ჩვეულებად გარდგქცევია.
შენა სწუხარ და შენა მხნეობ, სარ ოფლის მღვრელი,
მაგრამ ამით კი შენ სიცოცხლეს ვერასა შველი.
სხვისთვისა შრომობ, შენა ღვაწლი სხვაზედა მიდის,
მაგრამ შენ თითონ სიღარიბით სული ამოგდის,
შენა ყოფილხარ მეომარი მტერთან ბრძოლაში;
მაგრამ ამაგი შენი ჩვენთვის არ არს ხსოვაში.
შენი მარჯვენით, მამაცობით სხვანი სტკბებოდნენ,
და შენს მაგივრად ჯილდოს უხვსა სხვანი იღებდნენ.
ამიერითა შენ ჭყოფილხარ დამყარებული,
მხოლოდ მიწაზედ და მისგანვე გახარებული:
გუთნით და ხვნა-თესვითა შენ გიცხოვრია
და მის წყალობით ლუკმა პური შენ გიშოვია.
მაგრამ ბუნება ხალხთ ვითარებას არ განაგებს
და სშირად იგი შენთვის ნუგეშს არა განაგრძებს...

შენ, მაინც, რამ სთქვი გლეხის ბედზედ, რკინის კალამო,
და მოუპოვე მას, უბედურს გულის მალამო;
რაკი არვინ—არს, რომ იმისთვის ცოტას ზრუნავდეს
და ნამდვილათ ცოტად მაინც გული სტკიოდეს;

არავინ არის, რომ ცხოვრება გაუადვილოს,
და იოტი თვისის ლხინის იმას შესწიროს,
თუ რომა იყოს, ეს ხომ ესე არ იქნებოდა
და გლეხის გული ერთხელ მაინც დამშვიდდებოდა.

ალ. მირიანაშვილი.

* * *

ჩემო კარგო ქვეყანავ. რაზედ მოგიწყენია!...
აწ მყოფ თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენია,
თუმცა ძველნი დაგვშორდნენ, ახალნი ხომ შენია,
მათ ახლათ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია,
ჩემო თვალის სინათლევ რაზედ მოგიწყენია?
წვრილ-შვილნი წამოგვეწრნენ ნაზარდნი, გულ მტკიცე
მათი ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები,
არ გიმტყუნებენ შენა, თუ კი მათ მიენდობი...
მათის ღვაწლით შეგექმნეს სახე ბედით მთენია,
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?
მათი გული შენის ტრფობის ფართო ბუდეა,
მათი გულთა ფიცარი შენი მტკიცე ზღუდეა...
ვერ წაიღწავს მათ გრძნობას სიმუხთლე სიმძულეა!
მათ თვის მკერდით შეუმუსრონ მტერთა სიმაგრენია,
ჩემო კარგო ქვეყანავ, მაშ რად მოგიწყენია?

ი. ჭავჭავაძე

## სიმღერა.

სხვაგან დილა თენდება, მომავლის მზე ამოდის,

ჩვენში მთვარეც ჩასულა, სულ შუა ღამე არის.
ქართველთ მძღური ძილი არის დაურღვეველი:
ყველას სძინავს, სიფხიზლის არ ვის არის მსურველი.
და ამ ძილით დამთვრალნი სრულებ ვერ რავინ ამჩნევს,
რომ სასნის წილ მათ კისერს დიდი უღელი აძევს.
თავზედ მეხი მგრგვინავი დამობის ამათ ჩაქცევას,
ესენი კი ვერ გრძნობენ, ამ მტერს ბევრი ვერ ჰკლავს.
ან რათ უნდა დანახვა, იძინონ ღრმა ძილითა.
თავზედ მეხი მგრგვინავი გაჰქრება ღვთის ძალითა!!
და უღელი, რომლისგან მოკაკულნი დადიან,
მოეხსნებათ ძილშია ამას რადა სჯობიან?

ნ. ლომოური.

*
* *

(ვუძღვნი იმერ-ამერთა)

როს გიხილავ, გულო, ნუგეშ ცემულსა,
უწინდელებურ ლხენად გამზადებულსა;
მოგემართოს ჩანგი ლაღადებისა,
ხმა საამოდ, ჭანგად ნეტარებისა!

—

მით უმღერდეს სამშობლოს აწმყო ბედსა;
მყობადისთვის სანუგეშო იმედსა —
და იმ რწმენას, რომ როსმე ეღირსება,
ღრმა ძილიდგან ჩვენ ძმებსაც გაღვიძება.

—

როს იგინი ხელი ხელს ჩაკიდულნი,
ურთი-ერთთან მტკიცეთ შეერთებულნი;

უმეცრებას ფრიად აიძულებდნენ
და მის ნაცვლად სწავლას შეიყვარებდნენ.

—

რომ იმ მიზნით, მათ სამშობლო მამულსა,
დროთა ბრუნვით საკვდავათ მიქცეულსა;
გ[illegible]სქდოდეს მკურნალებათ შვილები,
სასახელო სწავლით აღჭურვილები.

—

მაშინ, გულო, მეც იქნებ რამ მეშველოს,
და ძმათ შრომას ჩემიც რამ მიეშველოს, —
გამართული ამ სიკეთით წელშია,
გავერიო მეც რითმე ჩემ ძმებშია.

—

შევავედრო უფალს მათი ერთობა,
სწავლისათვის მათ აღჭურვა განწყობა
და რომ მოვკვდე გამყვეს სულის ლხენა
რომ «ქართველთაც ეღირსებათ აღდგენა.»

მ. გ. მ.

---

## პ ო ე ტ ს.

ზეცამ დაგბადა ბოროტთა მტერათ,
ჭეშმარიტების ქვეყნათ მფარველათ,
ხალხის ჩაგრულის მომხრე მოკეთათ,
მისი წყლულების ექიმ მკურნელათ.

იშიშვლე ხმალი—ზეცისა ნიჭი,
შეუპოვარათ სტუქსე კაცთ მცვევა,
ვინც უნდა იყოს; ნუღარ გაქვს ეჭვი:
შენია დრო და შენია ძლევა!...

—

აღვიძე ხალხი ტკბილის ძილიდგან,
მას გარდაეცი ზეციის ნება;
მიეც ლამპარი შენი ხელიდგან,
„შენია“;—უთხარ—«დრო ვითარება!»

—

ასწავე შენ მას კარგი და ცუდი:
ვის მეგობრობდეს ვისთან იბრძოდეს;
რომ, ამ ნაირად გზა-კვალი მრუნდი
შენის რჩევით მას გაუსწორდეს.

1879 წ. მეგრელი.

## მეგობარს.

დღე განათოს, ძმაო, იმედმა,
არ შეკრთე წამხდრათ მწარე ომშია!
არ გაწყეველინოს უწყალო ბედმა
გაჩენის წამი ბრძოლის დროშია!

—

ბევრმა უმტყუნა სასო წარსულმა,
ბრძოლის სიმწარით წმინდა იდეალს,
ბევრს ვერ გაუძლო კაცურმა გულმა,
ჰირი უქცია ახალს მომავალს!...

—

ბევრმა აძაგა ძველი ალიქმანი,
ბავშურის სისხლის ვითომც დუღილი...
სოფლად შეყვარა სული და ტანი,
ლაფით შესცვალა დროშა ჭერილი...

—

მაგრამ შენ, ძმაო, ისევ იმედით!
ისევ გულ-მაგრად ჰკავდი ქედი!
ჯვარზედ რომ გაცვან კრულვა-გინებით!
მაინც არ შეკრთე, სთქვი: „ვარ მართალი“

1878 წ. Გრ. უმწიფარიძე

---

## ႤႪႤႢႨႠ.

გუნდ-გუნდ ვარსკვლავნი,
ანგელოზით თვალნი;
ეშხით დამზერენ ტურფა გარემოს.
მთები მაღალნი,
უზარ-მაზარნი,
ადიან ზეცას, ისვრიან ჩეროს.
წყარო მჩქეფარე,
ვით მწყრომარე,
ჩამორბის კლდიდამ ვარსკვლავთ მჩინარი.
ძირსა ველს გაშლილს,
ვარდნარით ფენილს,
ბულბული კვნესის ნაზი, ნარნარი.
კოშკნი ნგრეულნი,
მოხუცებულნი,

თეთრი მთის გაშლით ჩაფიქრებულან,
წარსულის, ძველის,
გულის მო წყელის,
ვერ მზოვნი მწარედ ჩალონებულან.
ქცევა გაცური,
ზნე მამაცური,
მათ გარს ეხვევათ, ვით რომ სიზმარი.
მათ არ ამხნევებს,
მათ არ აღელვებს,
ცეცხლის მომდები იმედი მტკბარი.
ვჭვრეტ მეც ჯერ წყვდიადს,
მაგრამ განთიადს
მაინც კი ველი გინდ ვიყო მკვდარი...

გრ. უმწიფარიძე

1879 წ.

---

## მთესველი.

### I

ნელ-ნელა მიდის მუდამ დროება,
გვმართებს იმედი, ლოდი ჩვენა...
იმრავლე, ჩვენო ახალ-თაობა,
წინა მოგვლის შარა-გზა შენა.
ბნელ ღამეში ქოვამ დაგვნათა,
ჩვენ ეხლა ვდგევართ დახლართულ გზაზედ....

მკვდრებს ჩაუძინათ ამ ქვეყნათ ღრმათა,
ცოცხლებსა დაგვრჩა საქმე მიწაზედ.

## II

თესლსა ჰკითხავდა ათასი-წლები,
მასი ფესვები ღრმათ გასხმულია;
ტყეს მოჰკაფავს მხოლოდ ცულები,
ბოროტებისა მოისრა ძნელია:
მას შეუთვისდნენ მამა-პაპები
და ჩაგვინერგეს ჩვენც სიღრმეშია...
ღრმა ძილს მიეცნენ ამ ქვეყნად მკვდრები,
ცოცხლებსა დაგვრჩა საქმე ხელშია.

## III

რცხვენოდეს იმას, ვინც წყევს უგნურად;
ფოთლის შრიალზედ ვინც ჰკარგავს ყნას!
ნეტავი მას, ვინ თავ-განწირულად
ემსახურება ჭეშმარიტებას!
ჩვენ გაგვახილეთ გვიან თვალები,
თანხმად მივჰსცვივდეთ მალე ყანებსა...
ღრმა ძილს მიეცნენ ამ ქვეყნად მკვდრები,
და საქმე დაგვრჩა ხელში ცოცხლებსა.

## VI

მიწა მზათ არის კარგათ მოხნული;
ვჰსთესოთ სანამდის სდგას გაზაფხული:

კეთილ სიტყვის და საქმის თესლები,
არ არს მომავლის თვის დაკარგული.
სად, ან რა გვარათ ვჰპოვოთ თესლები,
ამის პასუხი მივცეთ შვილებსა...
ღრმა ძილს მიეცნენ ამ ქვეყნად მკვდრები,
და საქმე დაჰკრჩა ხელში ცოცხლებსა.

## მოტყუებულს

რაზედ მიკლავ გულს, კაცო ურწმუნო:
ვითომც განქრესო ჩემი ოცნება?
მან დამამწაროს, მე მას უმტყუნო,
გადამიბრუნდეს საწყლად გუნება?
ნატვრა არ მაიფრენს შორს, უწვდელ ზეცას,
გულს არ იტაცებს ზღაპრულ-ციური:
სრულად ვეკუთვნი ჩვენს ცოდვილ მიწას,
სადაც ბევრს გვიჭირს ლუკმა დღიური...
სად ფეხ-ქვეშ სთელავს უძლურს ძლიერი,
ძმებმა დასწყევლეს დედის ნანინა,
ზეცას შესტირის ბედ-კრული ერი,
გალილეილიც არსით არ ვანა!
მაშინ დამცინე სულით უძლური,
როცა გამიქრეს სიცოცხლის ალი,
სათვლავს ჩასძახე ხმა უკეთური:
„განჰქრა ოცნება, ვაჰ შენა ბრალი!“
თორემ მაშინა პასუხს არ გაგცემ,
არ შევიწუხებ ტკბილ განსვენებას;

და თუ ცოცხალ ვარ, ვეტრფი, თაყვანს გცემ
ჩემს სულის მოთქმას ოცნებ-რწმუნებს!

გრ. უჰწიფარიძე.

1878 წ.

---

## ჩვენს პოეტს აკაკის.

ვეტრფი შენს ნიჭსა, ჩვენო პოეტო,
მუდამ სიმართლის გამომხატველსა;
ვეტრფი შენს კალამს, კარგო ოსტატო,
ვარდ-შემოსილსა ხელთ შემკვენებულსა.

—

ვეტრფი იმ ბულბულს და მისს სტვენსას,
რომელიც დამღერს მაგ კალმის ვარდსა,
და ცხარე ცრემლით გასძახის ყველასა:
გაზაფხული თქვენ გაგიქრობსთ დარდსა!

—

რადგანაც მაშინ იშლება ვარდი,
და განიხარებს ყოველი სულდ დამული,
მის გამო ქრება ყოველი დარდი;
ბუნებაც ხდება თავისუფალი.

—

მისთვის შევხარი შენსა ბულბულსა,
რომ მუდამ გალობს მხიარულებას,
რომ გრძნობით შაჰობს ყინვა ზამთარსა,
და ნატრობს მხოლოდ . . .

—

მეც მინდა. ჩვენო გულის დამწველო,
რომ ეგ ბულბული მოჯდეს კალამზე,
და როგორც თვითონ შენ საქადელო,
მეცა ვფიქრობდე ჩვენს ქვეყანაზე.

ს. გა—აძე.

1882 წ.

---

* * *

ჩემო მუზავ—ჩაგრულთ ფარო, ჩემო მუზავ—მეტიჩარა,
ან მეგობრათ რათ მირჩიე, ან რათ დასცხრი აგრე ჩქარა!
გულს იარით დაიწყურე, შემოგაკლდა სიმხნე, ძალი,
აღარ ღვივის ცეცხლი გულში, არ გიტაცებს იდეალი.
თუ შეგიპყრო სოფლის ჟანგმა, დაგატყვევა, დაგიმონა,
დაგავიწყდა ჩაგრულთ კვნესა, გულს სხვა ხმები შეაგონა?...
არ მიმუხთლო, არ გამიორდე, შენში ვპოვე მე დიდება,
შენში ვპოვე ზეცის ალი, ზეციური სიტკბოება.
მომეც სიმხნე და დამლოცე, ვით სიმართლის მეომარი,
გულს აღმინთე ცეცხლი მწვავი, სიკვდილამდის უშრეტარი,
შემაძულე საძულველი, მასთან ბრძოლა მიჩნდეს არად,
შემაყვარე საყვარელი, მას გადავდებ ათას გვარად!
სიყვარულის ნაზ გრძნობასთან შხამით სავსე მომეც ენა,
მოუწამლო მჩაგვრელს ღვიძლი ნასისხლარზე ცეცხა-ლხენა!...
გრძნობის ცეცხლით მორთე ქნარი, აკანკალდეს, იწყოს ჟღერა:
მასში იყოს გლოვის ზარი და ქორწილის აღმგზნე მღერა!
თვით მოხუცსაც წასკდეს ცრემლი. სიყვარულის ნაკურცხალი:
კვლავ უყვარდეს მას სიცოცხლე, კვლავ უყვარდეს მომავალი!

მხნედ გავშალოთ ბრძოლის დროშა, თავისუფლად მოფარფარე,
მან დაჩრდილოს ხალხთა მტრობა, მან აკურთხოს ჩვენი მხარე...
ოხ! არ დასცხრე ჩემო მუზავ, ჩაგრულთ მოძმევ, მეტიჩარა,
მომასწარი, მზე ბრწყინვალეს, სცემდეს ბუკი და ნაღარა!...
მაშინ თუნდა კიდეც დასცხრე. არ ვინაღვლებ გწამდეს ფიცი.
იქ გვირგვინი დაგვედგმება, მხნე სიკვდილით დანამტკიცი!...

გრ. უმწიფარიძე.

1881 წ. 15 ოკტ.

---

## ႩႨႪႭႱ ႫႨႫႭႵႺႤႥႠ.

(პლეშჩეევიდამ)

I

ვისაც დაგვესწროთ გზაზედ ავდარი,
ვინაც ჩვენ შორის აღარ ხართ დღესა,
ყველას გულითადს სალამს გიგზავნი
და მოგილოცავ თან ახალ წელსა.
დაე სალამი ამ ჩემ მოლოცვით,
მქროლე ნიავმა თან წარიტაცოს,—
და თქვენ, წაღებულს ცხოვრების ღელვით,
შორს ქვეყანაში მსწრაფლ მოგიტანოს.

---

ყველას ვინცა მტრობ უსამართლობას,
ვინც აღუდგება სცემ ბოროტებას,
და მოთმინებით თავს არა უხრის,
ჩვეულებრივსა მათს საძაგლობას,—
ყველას გიგზავნა ამა სალამსა

და გისურვი, რომ წელსაც ახალსა,
მოეცეს თქვენთვის ძალა ბრძოლისა,
უბედობაში სიმხნე სულისა.

II

ჩაქრა გაივლო დღეს გაცემითა...
აქ ყველაფერი სიმდიდრით ელავს!
და ერთმანეთის აღტაცებითა,
ყველა ახალსა წელსა ულოცავს,
რა ზომიერად, რა ზრდილობითა
და თავ-დაჭერით არიან ამ დროს!
გამოწყობილა სულ დრამობითა,
სიტყვა, მიმოხვრა, ამ მილოცვის დროს.

—

რა საუცხოო და რა ნაზია,
აქ ყოფა ქცევა და საუბარი:
არც ერთ აქ მყოფსა არ უკადრია,
ფიცხი მიმოხვრა, ან ხმა მაღალი.

—

უცებ იქუხა ბალის მუზიკამ,
და ლაპარაკის ხმა აღარ ისმის;
ოჰ, რა მეწყინა!... არ დამაცალა,
ყურის-დაგდება ბრძნულ მუსაიფის.

—

თორემ დილამდის ლმობიერებით,
სულ ვისმენდი აქ ამათ ყბედობას,
მასზედ, თუ როგორ წახდა ზნეობით,
ახალ-გაზრდობა ამ ჩვენს დროებას.

—

აი მოხუცი, თეთრ თმით შემკული
რა გულ-მხურვალედ დარდობს იმასა,
რომ: „ყმაწვილები გარდარეულან,
არ აფასებენ... ჩინსა და ჯვარსა!

—

„რაც წმინდა არის და მშვენიერი,
ყველას ისინი ლაფით სვრიან;
და ჩვენ მეტადრე მას უნდა ვსწუხდეთ,
რომ ისინი ზნით წამხდარ არიან.

—

ყველა მათგანი ჩემობს კარგობას,
იგონებს გლეხის უბედურებას
და კანონითა დედა-მიწაზედ
გლეხებსაც ჩვენებრ აძლევს უფლებას.

—

ოქროს პირი აქვს, უთუოდ ამ კაცს;
სიხარულითა გული მიფეთქავს,
რომ მაგონდება, რომ მთელ წელიწადს!
უნდა უყურო, ამ გვარ საუბარს.

## III

არ დაივიწყო, რომ ვალი გაძევს,
მისი ვინც ობლად ღარიბად არი,
ვის გაჭირების უღელი აწევს,
ვინც მწუხარეა, მშიე და ფერ-მკრთალი!
არ დაივიწყო, რომ ზეცამ მსგავსი,
მოგცათ ორავეს წმინდა უფლება,

მაზედ, რითაც არს ეს დღე ძვირფასი,
რაც არს ამ სოფლის კმაყოფილებას!

—

არ დაივიწყო, ის მოწამენიც,
ვისაც გვირგვინი ეკლის დაადგეს
როცა ისინი ხალხს გზას უკვლევდნენ,—
რომ აღორძინდეს, ახალ გზას დადგეს.

—

და ნუ გშურს ძმაო, რომ შენ სახლშინა,
დაქანცულების წმინდა ბრძოლითა,
ტანჯვის მალამო, ღელვის დროს ბინა,
მისცეს ერთგულის, ძმურის ხვევნითა!

---

*
* *

ვაი საწყალს და ბნელს მხარეს,
სად ძმა ძმაზედ ლესავს კბილებს,
სად ძველ-რბილში გასჯდომიათ
კუჭის «მორწამსი» თვით უმაწვილებს ...

—

იმ წამწყმედის, კრულის აზრის
სად ტაძარი აგებულა,
რომ «მე ვიყო, თორემ მერე,
ქვა ქვაზე დადუღებულა!"

—

სად უმაწვილი ბერი კაცობს,
კუჭზედ ფიქრით გადამკვდარი,

და გულს მძინარს არ აღვიძებს,
ბოყჩიის ტკბილი ქნარი!

—

ჯერ, ჩუმო ცოდვილო აზრო,
მტკიც დ გივლია სავალი:
ჯინჯარი სჭრა, ვარდი სთესო,—
აწცა იყოს შენი გზა!

—

ვაი საწყალ და ბნელ მხარეს;
სად ძმა ძმაზედ ლესავს კბილებს,
სად ქალ რძალში გასჯდომიათ
გუშის „მოწამსი“ თვით უმაწვილებს!...

გრ. უძწიფარიძე.

1880 წ.

---

## მიდა მოხედის შედეგი

გავიხედე, დავინახე,
ტალახს ჭყრიჭყინდა ღორი;
შემზიზღდა და დავიძახე:
„ფუ, უარს, მეთქი, მძოვრო!“
მოვიხედე,—კაცი ვნახე,—
ქმ. მკრა კაცის მძოვრი;
შემზარდა და ვივაგლახე:
„რად დაგგმე, მეთქა, ღორო“?

—

გავიხედე, ტყეში ვნახე,
ბატკანს ახრჩობდა მგელი;

მეწყინა და დავიძახე:
„ქეცით მოსტყუხეთ წელი“!
მოვიხედე, დავინახე, —
კაცი კაცს სჭრიდა ყელსა;
შევწუხდი და დავიძახე:
„ნუ ერჩით მეთქი მგელსა!“

—

მივიხედე შამბში ვნახე,
კრუხს ეპაროდა მელა;
გავხელდი და დავიძახე:
„ჰე, წაესიეთ ყველა!“
მოვიხედე აგერ ვნახე, —
ძმა ძმას მტრულად ჰყვებოდა;
შევშფოთდი და დავიძახე:
„მეძავს რად რა ხდებოდა?!“

—

ჩავიხედე სხელში ვნახე,
გველი გლესავდა ჩიტსა;
გავმწარდი და დავიძახე:
„ნუ გაუშვებთ ამ ფინთისა!“
მოვბრუნდი და დავინახე,
ძმა ძმას უღვთოდ სწამლავდა;
შევჯირდი და დავიძახე: —
„გველს მენდობა შეჰკავდა!“

—

შევიხედე სერში ვნახე,
პეპელს სწოვდა ბორბალა;
გულს მეცა და დავიძახე,

„მოსპეთ ეს საზრხის ძალა!"
რომ მოვბრუნდი ხალხში ვნახე,
ძმა ძმას შარით აბჭობდა;
გავრისხდი და დავიძახე,
«ბორბალას ვინ რას რჩოდა?!"

—

მოვედი და დავისახე
პირს-ჯვარი და დავღონდი;
ფიქრში უცებ დავიძახე:
„კაცო, რისთვის მომწონდი?
ღორი, მგელი, მელა, ცველი,
შენზედ მართლად სჩნდებიან,
ბორბალა დაუნდობელი, —
ყველა შენ გჯობნებიან!..."

ნ. ლალიანი.

1878 წ.

---

## ს ი მ ღ ე რ ა.

მუშა ვარ და კიდეც ვიცი,
მუშის ბედი თუ რაც არი:
ის ულელში გაბმულია,
ქედ მოდრეკით, როგორც ხარი!

—

მას გალურჯულ, მაგარ კანსა,
მუდამ რეცხავს ოფლის ღვარი..
შრომობს მუშა... თანც ღიღინებს,
აგონდება მაცხოვარი.

—

აგონდება და მხნევდება.
პირს-ჯვრის წერით, შრომას აგრძობს,
და ვინც უშრომლათ ჭყლაპავს,
იმათ მტრობას მაინც არ გრძნობს.

—

მუშა რომ ვარ, მისთვის ვიცი
მუშის გულის პასუხები.
ღმერთმა მუშებს გაუმარჯოს,
უქმ—მელაპელებს არ ვეხები.

ი. დავითაშვილი.

1880 წ.

---

## სიმღერა მწერალთა.

ძმანო, ფარ-ხმალი მივაყრდნოთ კედელს,
ახლა დაგვიდგა ჩვენ სულ სხვა ჟამი:
სამშობლო მხარეს, გზასა გაუკვლევს
ცხოველი აზრი მწერლის კალამი!

—

ქვეყნის დარაჯათ დიდ ხანს ვიყავით,
ბრძოლამ აღზარდა ხალხის გონება!
თოფის წამალი მრავალი დავწვით
და გავიმტკიცეთ ამითი გრძნობა!

—

სასტიკ ომებით ჩვენ მოვიმკევით,
დიდი სახელი მამაცობისა,
მაგრამ ცოდნასა ვერ მივეხწიენით,
კვლავ გვტანჯავს სენი უმეცრებისა!

—

ხრმალით ვიცავდით უწინ ქრისტეს ჯვარს,
ეხლა სხვა დროა — მით, აზრით, კალმით,
აწ ნუ დავაკლებთ ჩვენ ხალხს შრომასა,
რომ მონებიდამ ვიხსნათ ის ამით!

***

1880 წ.

---

## მშვიდობით.

(ბაირონისა)

ზეცანი თუ არ დაყრუებულან,
მხურვალე ლოცვას თუ ყურს უგდებენ
და თუ სიმაღლით არსად წასულან,
ჩემ ლოცვას შენზე გაიგონებენ.

—

არ ჰღირს ქვითინი, არცა ჩივილი:
ვერ გამოცხადდეს ცრემლ-სისხლ წვეთებით:
ის მწველი ტანჯვა, ის დათუთქვილი,
როგორც ამ სიტყვით ვაის „მშვიდობით“!

—

მეც ჩუმათა ვარ: ბაგე დუმილი
არ გასცემს ცრემლიც არ გამოჩნდება;
მაგრამ გულს და სულს ჰსწიწკნის სიკვდილი
და ეს წამება კი არ მოჰკვდება.

—

არ ძალ-უძს ჩემ სულს ამაყს ჩივილი,
მაგრამ ცოფად დუღს მაში სურვილი;

ვერაფერით მოჰკვდეს მისი წყურვილი,
ვერ რით მიძინდეს მისი ტკივილი.

—

მე მხოლოდ ვიცი სრულად ამაოდ
ერთმანეთს გზაზედ მე და შენ შევხვდეთ,
და გულში ცეცხლად ვგრძნობ მწარ ჟამოდ
და მაწამებლად სიტყვას «მშვიდობით»!

იორდანე ტუსალი.

1880 წ.

## წინაღმდეგი შედარება.

(მიბაძვა დობროლუბოვისა)

მინდვრად თავ შეყრით ვნახე, ირემნი,
და — ნავარდობდნენ სიყვარულობდნენ; —
მით მომაგონდა ხალხი რომელნი
დღე და ღამ მოძმეთ ღალატს ჰფიქრობდნენ.

—

ჭინჭველთა გუნდი გამწკრივებული
ვნახე, ტვირთს სწევდა, ხვრელში მიჰქონდათ,
და მოვიგონე ხალხი ჩახული,
რომელს ერთობა არ ოდეს ჰქონდა.

—

ჯოგი პირ-უტყვთა მოგროვებული
ტყის პირსა ვნახე, ნადირთ ებრძოდნენ
და მოვიგონე ხალხი მტერ-სხმული,
რომ მტრის მაგივრად ერთმანეთს ხოცდნენ.

—

ვნახე პირ-უტყვი, თვის მოძმეს კნავით,
დაკოდილს ადგილს ენას უსომდა,
და მომაგონდა ხალხი, რომ მალვით,
გაჭირვებულ ძმებთ უფრო ღუპავდა.

—

ვნახე მე ძაღლი, რომ არა სჭამდა,
ქურდის ნასროლსა პურსა ბაგებში,
და მომაგონდა ხალხი, რომ ჰყიდდა,
თავიანთ მოძმეს სირმა ვერცხლშია.

—

შეზიზღებია რაღაც ცხოველი,
ღვაცს კარს უკვდიდა არ ისვრებოდა,
და მომაგონდა ხალხი გასვრილი,
რომ უფრო გასვრას მეცადინობდა.

დ. ლეონიძე.

1876 წ.

---

*
* *

ვინ შეედრება ბედნიერებით
მას, ვინც ძმისათვის დღე-და-ღამ შრომობს,
ვისცა სულ მთელსა, სრულის არსებით
მხოლოდ მისია და მისთვის სცხოვრობს!

—

ვისაც ვალად აქვს ძმის სამსახური,
მისი სიკეთე უღელვებს გულსა,
ვალად აქვს შრომა პატიოსნური,
რომ მით შესძინოს რამე მამულსა...

—

ოჰ, კაცთა მომრევნელო, უკუნურებავ!
განერთხე ქვეყნად, განიდგი ფესვი,
და დაიჩაგრე გონიერებავ,
უმადურობის ფიალა შესვი.

—

მაინც ასეა, ამ სოფლის წესი,
წალმა, უკულმა იმისთვის ბრუნავს,
რომ დაისაჯოს აქ უკეთესი,
თვით კი იბრუნოს, როგორც ბრუნავს.

—

მუდამ სამშობლოს კეთილის მდომნი
აღარ ჰსცხოვრებენ სამშობლოშია!
ჩვენ აქ ვრჩებით, ძილით მსხდომნი:
ფხიზელს გზავნიან უცხოეთშია!

ცაცო ჯაყანაშვილი

---

*
* *

ახ, როდის ვნახო, ზეციერო, გაბრწყინვებული
გონებით, აზრით, ზნით და ჭკუით ერი ქებული,
რომ მისი შუქი ღირსეულ შვილს ჰკვრიდეს ღიმილსა.
და, ვით ნავი უქარვებდეს მწარე ნაღველსა!
ბრწყინვალეს შვილი, ვით მერცხალი დასჭიკჭიკებდეს,
მის სიყვარულით ღვთის ნაპერწკალს ქვეყანას ჰფენდეს;
რომ მომავალის ქვეყნის შვებას ერს აგონებდეს:
თავ-განწირულად ბრძოლისათვის აღორძინებდეს!

—

ახ, როდის ვნახო, აღდგენილი კვლავ ჩემი მხარე,

გაბრწყინვებული ახალის ზნით, ახალი მთვარე,
რომ მის სიტურფით, კვლავ მოგმართო, ტკბილად სიმღერა,
საყვარლის ქმნით მუსიკობა, კისკისი, ჟღერა! —
რა ბედის ვარსკვლავს მე მოვსძებნი გონებით, სწავლით;
ხალხსაც შევხედავ გამოხსნილსა ამ დროის თვალით, —
მერე შენ გიცნავ, ზეციერო, ტკბილად მოჰკვეკდები,
ასეთ ნასულსა, ახალ მამულს, თუ მოგესწრები!!

1882 წ. რომანოზ

---

## იავ ნანა

იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო!
გაფურჩქნულო ახალო ნორჩო, შენ პაწაწინაო!
მაგრე ტკბილად უდარდელად რამ დაგაძინაო?
დედის მკერდში მიგიგნია შენ ტკბილი ბინაო,
დაიძინე იავ ნანა, ვარდო ნანინაო!
იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო!
დაიძინე, გენაცვალოს შენი მშობელიო.
ძუძუებში ჩაგივლია პაწაწა ხელიო.
შენს ვაჟ-კაცობას მომასწრებს მე ღვთის მშობელიო.
აგცილდეს სხვისი მონება დამამხობელიო?
თავისუფლების სხივები გულს მოგიფინაო,
იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო!
გაივსე და გაიზარდე, პატარა მთვარეო,
შეისწავლე და შეიტკბე სამშობლო მხარეო!
ანუგეშე საცა ნახო, მოძმე მწუხარეო!
შველე, მამულის გულისთვის სისხლიც დაღვარეო!

ჩვენ ძველებმაც, ამ გვარათა მტერი აშინათ,
იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინათ!
პაწაწინა იადონო და ვარდის კონათ,
ყური უგდე, დაისწავლე ჩემი ნანინათ,
[illegible]ო ხილულად დააკვირდი, იცან ქვეყანათ,
რომ გაიგო ამ სოფლის ცრუ გამოცანათ...
მაგრამ ჯერ კი დაიძინე, ადრეა განათ?
იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინათ!

1862 წ.

აკაკი.

---

## ფიქრნი

როს გიხილავ, ცაო ლაჟვარდ მოწმენდილს,
შავნი ფიქრნი კვლავ შენდამი მოჰქრიან.
მაგრამ შვებას არ მაძლევენ დავარდნილს!
ჩვეულებრივ ჰაერში იბნევიან.

რომანოზ.

1882 წ. 1 სექტ.

---

## გ ლ ე ხ ი.

შეხედეთ გლეხსა,
მუდმივ მშრომელსა,
რა-რიგ ჩამოსდის შუბლზედა ოფლი,
შეხეთ, მის სახეს,
ტანჯულს მწუხარეს!

რა რიგათ ამკობს ღვაწლისა შრომათ!...
თავ ჩაღუნული,
ჩაფიქრებული,
ჩაჰყურებს მიწას ეალერსება,

თუმც უწუხს სული,
უხარის გული! —
რადგან შემდეგში მიწა ჰპირდება:

რომ ოფლი მისი,
ვეცხლზედ ძვირ-ფასი
უნაყოფოდ არა დარჩება..

მაგრამ, მან უწყის,
კარგათაც იცის,
არვინ აუფლებს თავის ნაშრომზედ!

რასაც-კი მომკის,
მეის გახდება სხვის!
ჩაფიქრებულა აი ამაზედ!

ბ. ზედგინიძე.

1882 წ.

---

## თამარ მეფის დროს (1188 წ.)

ოხ! ძმანო, ძმანო! ჟამმა ბრუნვისამ,
ვით არ მოგვგვარა მძინარეთ ღვიძილი?!
რაა ამდენი და უსირცხვილო,
განუღვიძარი სულ ძილი, ძილი?!...

ოჰ, ვგონებ კმარა?... აღვდგეთ, დრო არის,
დროა, მახვილი ხელში ავიღოთ,
და სავერანოს ამ ძილს, ჩვენ მდუპველს,
საუკუნოთა ბოლო მოუღოთ..

—

განვდევნოთ ჩვენგნით ჩუღარ გაბედებით,
ჩვენი მტრობის მიზეზს ჩვენშია,
და მის სანაცვლოდ მოვნახოთ სწავლა,
მივმართოთ, ჩავეწვეთ მის აკვანშია...

—

იყო დრო ოდეს: სუფევდა მკლავი
და მის ქვეშ იყო, სიმდიდრე, დავლა,
აწ კი ასპარეზს ვითა ვარსკვლავი
ელავს, ბრწყინვალებს და მეფობს სწავლა!...

—

ვით უვნებლათ მკლავი მახვილი
იცვავდა მიწას დროსა წარსულსა:
ეგრეთ მის მცველნი ერთ-გული შვილი
მითი აწ იცავს თავის მამულსა!

—

მაშ აბა ვინ ხართ? სამშობლო ვისა,
ვის გიყვართ, მტკიცედ ჭეშმარიტებით?
მოდით, მას ვსდიოთ და მის დევნისა:
ჯვარზედ პირობა ვსდვათ შეფიცებით!...

—

ხელი ხელს მივცეთ: უღონო შველით,
მხდალი სიმხნით განვაძლიეროთ,
და ესე ერთობ ზოგადის ძალით,
მის გზას შეუდგეთ, ტკბილად დავმღეროთ...

—

იგი ვადიდოთ, იგი ვაღმერთოთ
და ჩვენ შევიქმნათ მის მდევნელათა:
ორგულნი ვრისხოთ, მივსცეთ სასჯელნი
და დიდა შევკრთოთ იმას ცოდათა.

—

სიტყვით, თუ იმით ჩვენის სამშობლოს
ბედნიერება მოჰფინება:
ზედ მტლათ დავესხეთ, ოღონდ გვეღირსოს,
ძმანო, ჩვენ მისი დაგვირგვინება!

—

მაშ რისთვის უნდა შვილი მამულსა:
თუ არ განკურნოს მან მისი წყლული,
და მის გულისთვის მტრისა მახვილსა
ზედ არ ეგოს თავ განწირული?!...

—

და როგორც მონა, მის განმადიდეს
ფიანდაზათ გულს არ უშლიდეს,
და სიხარულით იმ მკერდას წყაროს
გულ ღიამ თავი არ ანაცვალოს?!

—

მაშ მოდით, ძმანო, აღმოვაჩინოთ,
ჩვენ მის დევნაში ძალა, ქველობა,
და ამაყობით ყოველის წინა
მით დავამტკიცოთ ჩვენ ქართველობა...

—

იმითი, ძმანო, ვით გვმართებს შვილებს
ჩვენი სამშობლო დავაგვირგვინოთ,
და მისის ტკბილის, მკერდას ნაყოფით,
გულით და სულით კვლავ მოვიხსნიოთ.

—

მაშ აბა ვინ ხართ, სამშობლო ვისა,
ვის გიყვართ მტკიცეთ ჭეშმარიტებით?...
მოდით მას ვსდიოთ, და მის დევნისა
ჯვარზედ პირობა ვსდვათ შეფიცებით!...

ს. ტუსიშვილი

1882 წ.

---

## სამშობლო.

ივერო, ჩვენო, ივერო!
ველებო, რიონ-მტკვრისაო,
რამდენი ტანჯვა განახავს,
სხვა-და-სხვა გვარის მტრისაო.

—

ივერო, ჩვენო, ივერო,
ველებო, ივერისაო,
რამდენი ხალხი დასწყვიტე,
აღმოსავლ-დასავლისაო.

—

ივერო, ჩვენო, ივერო!
მომთმენო ჭირს და ზნისაო,
შენის დავის გულისათვის
სწირავდნენ თავსა თვისსაო.

—

ივერო, ჩვენო, ივერო!
დამღუპო კაცებისაო,
ლექსი იმიტომ დავწერე,
შენზედ გული მეწვისაო.

ილ. ფერაძე.

## ტყვეს

გული მთლად მიწუხს, როს გრძნობით სავსე
თვალებში ცრემლი ღალივით მოჩანს,
და პირის სახე, კვლავ მხიარული,
ეხლა ძმავ მწარედ მდუმარედ მოჩანს.

—

აღარც გაქვს ფერი, გაყვითლებულ-ხარ,
დაგწყლულებია ელდებით გული,
წელში, ძმავ მწარედ წამოკაკულხარ,
თითქო გადევსო, მძიმე უღელი.

—

მე, გული მიწუხს, როს ეგ თვალები
გულს ისარივით მწარედ ხვდებიან,
მათში ვკითხულობ გულ-საკლავ სიტყვებს:
—გვიშველე რამე, თუ შეგიძლიან.—

—

მე გულს მიკლავმენ მწარე სიტყვები
და პასუხსათა მათ ვეუბნები:
—მარტო არ ძალ-მიძს მე თქვენი შველა,—
მაგრამ კი შველას მე მათ ვპირდები.

—

ელოდე, ძმაო, უწყალო ტანჯვას,
უთუოდ ძმაო, ჩვენ დაგაშორებთ,

—

იცოდე, ძმაო, ვეღარ მოითმენს
ქართლისა გული რომ ტანჯულს გმზრდეს,
იცოდე, ძმაო, ის აინთება,

გიორგი კასპელი

1882 წ.

# ვინ არის?

ტან მაღალი, წელში წვრილი,
ყელ-მაღალი, მხარ ბეჭიანი;
პირ ლამაზი, შავ-თვალება,
ცხვირ ლამაზ, ლოყა-ვარდიანი.
ტანზედ წელამდის კვერტუა,
ქვევით ძრიელ ვიწრო შარვალი,
თავზედ კოხტად ყაბალახი
ახურავს ჯინჯილიანი;
ფეხებზედ კოხტა წუღები
აცვია საცვეთებითა,
წელზედ არტყია ბელყაში
ქარყული ოქროს მკედითა;
წელშიდ ურჭვია ცხემლაში,
ფიშტო კრიალებს ვერცხლითა;
უკან წელზედ აქვს ფალასკა
სავსე ტყვიით და წამლითა.
წელზედ ჰკიდია საქონე,
მათარა და ყურშუმოლი,
ხელშიდ უჭირავს უადური
მაჭახელი ან სტამბოლი.
დახტუნავს, ვით მთის ირემი,
არის მცქვიტი ბუნებითა;
მთა, ბარი და ტყე, მინდორი —
იმისთვის არის სულ ერთი.
ომში იგი ღმერთმა მოგცეს —
მერწმუნე, რომ გასახელებს:

ომში იგი განთქმულია,
ის თავს ყველგან ისახელებს.
ომი მისთვის აღდგომაა.
მოელის, როგორც წითელ კვერცხს;
მტერს იგი ისე გააქრობს,
ვით წყალი გაჩაღებულ ცეცხლს:
იგი მტერს ლომებრ შეებმის,
მოჰკლავს, ან თვითონ მოკვდება;
მაგრამ ის კი არ გეგონოს,
შერცხვენილი დაბრუნდება!
პირველის თოფის გავარდნას
უყურებს მაჯახლიანი;
ტყვიის სტვინვა, ხმალთა ფრიალი
მისთვის ლხინ-თამაში არი.
იგი ლხინშიც განთქმულია:
მან იცის ცეკვა-გალობა;
ჯამაში თუ მასთან დარჩი,
იცოდე არ მოგწყინდება.
ყველას ამაყად უყურებს:
ძრიელ მოსწონს თავისი თავი;
ის წამალსავით იფეთქებს,
თუმც რომ ჰკადრე რამე ავი.
არს ბუნებით ნიჭიერი,
მალე ისმენს ყოველ სწავლას,
მაგრამ უბედობისაგან
ჯერ ვერ იღებს სამყოფ სწავლას.
ზემო ნათქვამი ნიშნები,
სულ მისი თვისება არი;

ახლა-კი მეტყვი, მკითხველო,
გამოხატული ვინ არი.

ტ. მამალაძე

**1879 წ.**

---

## მეგობრული რჩევა

კაცი უბნობდეს: სიტყვას ჰფანტავდეს —
მარტო ეს არ არის საქებარი:
მცირეს აღთქმიდეს, ბევრს მაატანდეს —
აბა ნამდვილი ეს საქნარია.
    გვიყვარს ჩვენ სიტყვით ყველას სიკეთე,
    მოძმეთა მარად ბედნიერება,
    მაგრამ საქმით-კი რაც გულს იკვეთე,
    საუბედუროდ უქმათა რჩება.
კარგისა მდომნი, შვების მსურველნი
დამხობილ ერის უხვად სჩნდებიან
და რა საჭიროს ოდეს საქმეს მზრუნველნი,
უსირცხვილოთა იმალებიან.
    ჭირ მოთნეობა არ არის კაცობა...
    ფრაზთა სროლამა რა უნდა გვიყოს?
    გულის სიწრფელე, წმინდა ზნეობა,
    სხვა მათ უკეთეს, ვგონებ, არ იყოს.
თავი ვანებოთ ძილს დასიემებულს,
მამულს გვიკლია გულ-მტკივნეულობა,
ჩვენის ბედის ჩარხს აწ გაჩერებულს,
დრო არის მივცეთ მარდი მსვლელობა.
    დრო არის, ძმანო, თვალნი ვახილოთ,

გლეხს მხარი მივცეთ, გვერდით დავისვათ,
წუთი სოფელი მასაც ვახაროთ,
უძლეურებისგან იგი დავიცვათ!

1882 წ. ალ. მირიანაშვილი.

## პატიმარი

დალონებული,
ხელ-გაპყრობილი,
დაჩოქილი ვგდივარ ცივსა ციხეში;
სულით და გულით,
მთელის გონებით,
ყოველად მოწყალეს ღმერთს ვევედრები.

—

არ დამნაშავე,
დატყვევებული,
მიხსნას აქედამ, მაგმაროს ესა,
რომ თავისუფლად,
მარად ერთგულად,
ვიცხოვრო სოფლად მის სამსახურად.

ილ. ვარდოსანიძე.

1882 წ.

## მეხრე

ირაყრაყა დილით ცამა, ახმაურდა ღამის მეხრე,
ძველ-ნაბადში გახვეულსა, ხელში აქვსა, მხოლოდ სახრე;

არც კი მოიხოცს ცხვირსაო,
მალი-მალ შემომაგინებს:
„საჭმელო ძაღლებისაო".

—

აზნაურობა მიყვარდა, გვერდზე დახურვა ქუდისა:
სოფელში გავლა-გამოვლა, ყველგან ატეხა ჩხუბისა.

—

ქართლი იმისთვის დავაგდე, თოვლი მოვა არ აიღებს;
რაც რამ მოსავალი მოვა, სულ მთლად ბატონი წაიღებს.

—

აქამდის აზნაურები უწრუწუნებდნენ ქორსაო,
ახლა კი მათი შვილები ჭალას დასდევენ ღორსაო.

(ზ. პ. შვკრ.)

მაღლა მთაში ყინული აპირობს ჩამოდნობასა:
რა გინდ რომ გყვანდეს მიჯნური, ვერ გიზამს ჩემოდნობასა.

—

დამაზმა თქვა: ჩემი ქმარი გულით არ შემიყვარებია:
არც ლაშქარ წასვლა მწყენია, არც მოსვლა გამხარებია.

—

მაინც არ მოვკლავ ტოროლას, თუნდ ბევრი მქონდეს წამალი;
საწყალი ღამის მეხრისა, ის არის კარგი წამალი.

—

მინდორშია თეთრი ქვაა: ავწიე და არ ამყვაო;
გოგო, შენი სიყვარული საცა წაველ თან წამყვაო.

—

თამრო, მაგ შენსა ხურვილსა, შამომითვალე, რა ვუყო?

ზურგს აგიკიდო საბნითა, რო ვერა გზიდო რა ვუყო?
დავემხო დედა-მიწასა, ქვესკნელ ჯინჭველას ხმა ვუყო?—

—

ნეტავ, თმარო, ფეიქი ვიყავ, ჩამოვყვე სევის ნავსა,
არცა რა შენ დაგიშავდეს და ნურც მე მამცემ ზიანსა.

—

შენი ჭირიმე გუთანო, გათლილო წმინდის ხისაო!
შენ აჭმევ პურსა ცოცხალსა დამმარხავი ხარ მკვდრისაო.

—

პატარა ხარ, აგეთი ხარ, გაიზრდები რა იქნები?
შენ ბატონი მწყალობელი, მე ერთგული ყმა ვიქნები...

—

ადგილზე ფეტვი დამებნა, ვინ აჰკრეფს წიწილის მეტი?
მე და შენსა სიყვარულსა რა გაჰყრის, სიკვდილის მეტი?

—

ირმისა კოგსა გადმოვყევ, ნახტომსა ჯვერინისასა.
ბევრი ვიარე. ვერ შევხვდი მოყვარეს ჩემის ზნისასა.

—

ვაი რა ბედი დავკარგე გასათხოვარმა ქალმაო!
ჩიქილა წყალმა მომტაცა, შუბლზე საკრავი ქარმაო...

—

წასვლა სჯობს წამავალისა, არ დახანება ხანისა:
კოცნა სჯობს თეთრი ქალისა, შერთვა-კი შავგვრემანისა.

—

ვიტყვი და ვიტყვი შაირსა, თუ არა ვთქვი არ იქნება.
დედის ავად მოკიდება, შვილისაგან რათ იქნება!
ვიცი, ზოგიერთა შვილი დედას წიხლით ზედ შედგება.

მამას კარში გამოაგდებს: „წადი თვალიმც დაგიდგებაო!
სადაც წავა, ინუგეშებს — ბედის წერა წინ დახვდება.
ბეწვის ხიდი ვიწრო არის, ცოდვიანს არ გაესვლება.
მადლიანი რომ შადგება, ბოგირ ხიდათ ეჩვენება;
ცოდვიანი რომ შადგება, მოწყდება და ჩავარდება.
ცოდვა, მადლი წიგნს ასწონის, საით უფრო დამძიმდება.
ერთი წლის სავლელ გზაზედ ეკალ-უკალი ჭივენია,
დგას კუპრიელის ქვევრია, კარს უკიდია კენია,
ამხანაგის მოღალატეს შიგ უდევს ენის წვერია.
ნათლიისა შემცოდესა გამოსჭრიან სამწვადესა;
გაუხვრეტენ ენის წვერსა, შიგ უყრიან წითელ გველსა.
დედა, ობლების გამშვები, ეფარება კაცის მკვლელსა!
უბეში უსხედს გველები, ეხვევიან ძუძუებსა.

—

სიმხიარულე გიხდება, სიცილი ლაზათიანი,
მინახამს შენი გვირგვინი წითელი, ლალის-თვლიანი;
უკან მაყრები მოგდევდნენ, თოფიანი და ხმლიანი,
მეც უკან მოვჩანჩალებდე, ჩემო სტვირ ქამანჩიანი,
ფულები ბევრი ამელოს, ჯიბეს გაჰქონდეს ჩხრიალი.

—

მეგრელის ქალსა შევყვარდი, არაყს მასმევდა დილითა,
ახლა მეც ხელი შეუწყე, ყველს უზიდავდი პინითა;
ურიის ქალმა დასწყევლა, სულ ამოიღო ძირითა,
მერე მეცხვარემ დასწყევლა, თავის ცოდვილის პირითა:
ლამაზო! «ქმარი მოგიკვდეს, თავს დასტიროდე დილითა;
მეც ასე ჩამოვიარო, ამ ჩემი ჭრელი სტვირითა;
დავკაზმო ბედაურები, სულ ოქროს უნაგირითა,
მე კიდე ხელი ჩაგავლო, წამოგიყვანო ლხინითა.»

ღმერთმა ისე გადღეგრძელოს, როგორც აბრამი და სარა,
დიღომი სახნავად მოგცეს, წილკანში აგედოს ღალა,
შვიდი ფარა ცხვარი მოგცეს, სათვლელად ისიცა გმარა.

—

ღმერთმან ისე გადღეგრძელოს, როგორც მასკლავები ცაზედ,
შვიდი ვაჟი შვილი მოგცეს, დააქორწილო წამზედა,
დახოცო, ჭედილები, გვირგვინს ადგამდე თავზედა:
სამოც-და-სამი მთიბელი ნიადაგ გიდგეს კარზედა.

(შეკრ. გიორგი მრევლიშვილისაგან)

საწყალსა კაცსა ვინ მისცემს, ადებს ღამეს ღვინოსა,
პური ჭამოს და წყალი სოს, დაწვეს და მიიძინოს.

—

ასწიე მძიმე მძიმესა, სუმბუქი რადა მეტია:
თუ კაცი კაცსა ვერ იცნობს, სიკვდილზე ჯარდამეტია.

—

დავღონებივარ სიკვდილსა, დაბნელებისა მზისასა;
ტოლების მოშორებასა, სიმძიმეს სიპი ქვისასა.

—

ქალი ტიროდა ქართველი, ქართლისა შარა გზასაო:
დავყარე წვრილი ობლები, ვერ გამოვრეკე ზღვასაო.

———